გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ელავს

ვერსია

№3 (1545) 17-23 თებერვალი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

მელიას დოსიე



ვინ არის „ნაცმოძრაობის“ ახალი თავმჯდომარე – გმირი, ქარიზმატული ლიდერი თუ პოლიტიკური ავანტიურისტი

იბრძვიან თუ არა გიგი ბოკერია, გიგი უგულავა და დავით ბაქრაძე გავლენებისთვის

რას ჰყვება „ევროპული საქართველოს“ წევრი პარტიულ განხეთქილებაზე

რა დარღვევები აღმოჩნდა ტუბერკულოზის პრევენციასა და მკურნალობაში

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

საიდუმლო ვიზიტი რუსეთიდან და საპატრიარქოს კულუარული თამაშები

ლელა ჯეჯელავა: „საქართველოში შეიძლება, ისეთი პროცესები განვითარდეს, რომელიც ეკლესიას დაუკავშირდება და რომელსაც პოლიტიკაც მიებმება!

ვინ არის ბიზნესმენი, რომლის ცოლიც, საყვარელთან ერთად, ჯერ მოკლეს და მერე დაწვეს

თბილისში 8 წლის ბავშვი სისხლისგან დაიცალა – სამმაგი მკვლელობის შემზარავი დეტალები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

თბილისსა და რუსთავში, 139 პოლიციელს ბინა გადაეცა

ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში, თბილისსა და რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა დასრულდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა თბილისში, გლდანის რაიონში, ახლად აშენებულ კორპუსში, ბინების მფლობელ პოლიციელებს მშენებლობის დასრულება მიულოცა და ბინების გასაღებები გადასცა.

ბინათმშენებლობის პროექტი თბილისში, რუსთავსა და ბათუმში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, სამინისტროს თანამშრომლებს შესაძლებლობა მიეცათ, შეღავათიან პირობებში მიეღოთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბინები. პროექტის მიხედვით, პოლიციელებს სახელმწიფო უფინანსებს მშენებლობის ღირებულების 40%-ს, ხოლო დარჩენილ 60%-ს, საკუთარი სახსრებით ან იპოთეკური სესხით ფარავენ. პროექტში მონაწილე ყველა პირი 77.4 კვ.მ. ფართობის მქონე საცხოვრებელ ბინას „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით იღებს.

ყველა ახალაშენებულ კორპუსს აქვს შიდა და გარე საერთო სარგებლობის ავტოსადგომი და გამწვანებული გარე პერიმეტრი.

ბინათმშენებლობის პროექტით, შეღავათიან ფასებში ბინის შეძენის მსურველები, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეარჩია, შემდეგ კი კანდიდატებს შორის გამარჯვებულები, ლოტტორონის პრინციპით შეირჩა.

ამ ეტაპზე, ბინები საკუთრებაში გადაეცა თბილისში – 83 პოლიციელს და რუსთავში – 56 პოლიციელს. ბათუმში ბინათმშენებლობის პროცესი გრძელდება.

პოლიციამ დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ბარი დალუქა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, COVID 19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული წესებისა და რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგს განაგრძობს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ბარი დალუქეს და საქმიანობა შეუჩერეს.

დადგინდა, რომ აღნიშნული დაწესებულების დროებითი მფლობელი – ზ.ჯ., საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე პრიმა 10 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, შრომის პირობების ინსპექტირების სამსახურმა 14 თებერვალს, 2 000 ლარით დააჯარიმა.

ასევე დადგინდა, რომ ბარმა კვლავ განაგრძო მუშაობა და აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდა. კერძოდ, ფუნქციონირებდა, როგორც ღამის კლუბი და ბარი, სადაც მოქალაქეები 21:00 საათის შემდეგაც იმყოფებოდნენ.

განმეორებით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის გამო, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე პრიმა მუხლით, რაც იზოლაციისა და კარანტინის წესის განმეორებით დარღვევას გულისხმობს.

გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა ზემოთ აღნიშნულ ბარში ჩხრეკა ჩაატარეს და ობიექტი დალუქეს. საქმეზე გრძელდება ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები.

შეგახსენებთ, რომ იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42-ე პრიმა 10 მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. სამართალდარღვევის განმეორებითი გამოვლენა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შს მინისტრმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ ბორცვაძე.

ვახტანგ გომელაურმა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს, პოლიციის პოლკოვნიკ ავთანდილ გალდავას, ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის ხელმძღვანელებისგან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე თანამშრომლებთან უწყების პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით, მათ შესაბამისი დავალებები მისცა.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ე.ხ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 13 თებერვალს, ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი – 1974 წელს დაბადებული ვ.ლ., ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი მოთავსებულია სამედიცინო დაწესებულებაში. ამ დროისთვის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. სამართალდამცველებმა, ბრალდებული, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბათუმში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო. განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველი ბათუმში, საპატიო ყარაულის თანხლებით დაკრძალეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელი – 25 წლის თორნიკე კიპაროიძე, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ხანძრის ქრობის დროს ტრაგიკულად დაიღუპა, ბათუმის საკათედრო ტაძრიდან, საპატიო ყარაულის თანხლებით გაასვენეს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მეხანძრე-მაშველის ოჯახს, თანამშრომლებსა და ახლობლებს, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილესთან, ვლადიმერ ბორცვაძესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, სამძიმარი გამოუცხადა. „პირველ რიგში, მინდა ოჯახს მივუსამძიმრო. მართლა ძალიან კარგი, ვაჟკაცი, ადამიანი გამოაკლდა ოჯახს, ჩვენს სამსახურს, სამშობლოს. ნამდვილად გმირები არიან ეს ადამიანები, ვინც აქ დგანან. ხედავთ, ყოველი ადამიანი სიცოცხლეს სწირავს, თითოეული ჩვენი მოქალაქის გადასარჩენად. ერთი ეს შემთხვევაც იყო სამწუხაროდ. ეს ადამიანი გამოგვაკლდა, მართლა კარგი ადამიანი, კარგი შვილი, კარგი მეუღლე. კიდევ ერთხელ, ვუსამძიმრებთ ოჯახს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა. შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად, გმირი მეხანძრე-მაშველისთვის პატივის მისაგებად, ბათუმში იმყოფებოდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, თეიმურაზ მღებრიშვილი, მისი მოადგილე, ლევან ღირსიაშვილი და სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსი, დავით სუხიშვილი. გარდაცვლილი უკანასკნელ გზაზე სხვადასხვა ქალაქიდან ჩასულმა მეხანძრე-მაშველებმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გააცილეს. თორნიკე კიპაროიძე სამხედრო პატივით დაიკრძალა. საპატიო ყარაულმა მის ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, გარდაცვლილის ოჯახს კი საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა. თორნიკე კიპაროიძე 11 თებერვალს გამოძახებაზე იმყოფებოდა, რა დროსაც სახანძრო კიბიდან ჩამოვარდა. მედიკოსების ჩარევის მიუხედავად, სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ახალგაზრდა მეხანძრე-მაშველი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამორჩეული სიმამაცით მუშაობდა. 2014-2018 წლებში, ის თავდაცვის ძალებში მსახურობდა. 2017-2018 წლებში, მონაწილეობა მიიღო ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. თორნიკე კიპაროიძე დაჯილდოებულია მედლით – „სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის“. მას მეუღლე და ერთი, მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მელიას დოსიე

ნინო დოლიძე

ზოგისთვის გმირია, ზოგისთვის – თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო, ზოგისთვის კი, უბარლოდ, პოლიტიკური ავანტიურისტია და მეტი არაფერი. ასეა თუ ისე, დღეს ქართული პოლიტიკის პირველი ხაზი ნიკანორ მელიაზე გადის, ადამიანზე, რომელიც აქტიურ პოლიტიკაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოჩნდა და მას მერე, პრაქტიკულად, მუდმივ ომშია: ხან ფიზიკურად უსწორდებიან, ხან სამაჯურს ადებენ და ხან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ედავებიან...



და მაინც, ვინ არის უმცროსი მელია, რომელსაც „ოცნების“ გულშემატკივრები, როგორც წესი, ნიკანორით მოიხსენიებენ? ისე, ხელისუფლების მომხრეებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ ნიკანორით მოხსენიება დამამცირებელია, მაგრამ „მეტრიკაში“ „ნაცმოს“ ლიდერს, სწორედ ეს სახელი უწერია. ასე რომ, უმჯობესი იქნება, „ზემოთ“ მესიჯბოქსი შეცვალონ.

სხვათა შორის, რასაც ახლა წაიკითხავთ, აშკარად მოულოდნელობა იქნება, რადგან აქამდე არავის უთქვამს, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, უშიშროების სამინისტროს აკადემიის კურსდამთავრებულია. ყოველ შემთხვევაში, ქართულ „ვიკიპედიაზე“ გამოქვეყნებულ მელიას ოფიციალურ ბიოგრაფიაში წერია, რომ 2002 წელს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა.

ამავე წყაროს მონაცემებით, 2002-2003 წლებში, მელია საქართველოს უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი იყო. 2007 წელს კი მუშაობა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში, მრჩევლად დაიწყო.

„2008-2009 წლებში მუშაობდა ეროვნული აღსრულების ბიუროში, უფროსის მოადგილედ. 2009-2010 წლებში იყო ეროვნული აღსრულების ბიუროს უფროსი. 2010 წელს კი – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

2010 წელს დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსად, 2010-2012 წლებში კი ამავე ბიუროს თავმჯდომარედ; 2013-2014 წლებში იყო მთაწმინდის გამგებელი. 2014 წელს – თბილისის მერობის კანდიდატი. 2015 წლიდან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ.

2016-2019 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პარლამენტში ყოფნის პერიოდში, ოთხი საპარლამენტო კომიტეტის წევრი გახლდათ. 2016-2017 წლებში იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი, 2016-2017 წლებში კი საპარლამენტო ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე.

2019 წლის 25 ივნისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით. 26 ივნისს, პარლამენტმა საგანგებო სესიაზე, რომელსაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს წევრებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა, თუმცა სასამართლომ ის დარბაზიდან 30 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

2019 წლის 12 ნოემბერს, პარლამენტარის უფლებამოსილობა შეუჩერდა, 88 დეპუტატმა მხარი დაუჭირა უფლებამოსილების შეჩერებას.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“ გლდანის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. პირველ ტურში, მიიღო 31 391 ხმა (44.06%) და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ტურში მონაწილეობაზე მელიამ უარი განაცხადა (მთლიანად ოპოზიციასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების მოტივით), მიუხედავად ამისა, მისი გვარი დატანილი იყო საარჩევნო ბიულეტენზე. მან მეორე ტურში 3 032 (10.64%) მიიღო. პარლამენტში პარტიული სიით შესვლაზე უარი განაცხადა პარტიასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების მოტივით). ოფიციალურად, 2020 წლიდან არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“.

2020 წლის 27 დეკემბერს, აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ“, – ვკითხულობთ ქართულ „ვიკიპედიაში“.

მელიას ბიოგრაფიაში, ყურადღება თუ მიაქციეთ, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია. კერძოდ, იმ დროს, როცა სააკაშვილის გუნდი პოლიტიკური ზეობის ზენიტში გახლდათ და ქვეყანას, როგორც იტყვიან, ცეცხლითა და მახვილით მართავდა, ცნობილი კარდიოლოგის ვაჟი პირწავარდნილი „ანტინაცი“ იყო. მეტიც, ის „ნაცების“ წინააღმდეგ გამართულ საპროტესტი აქციებშიც კი მონაწილეობდა. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ 2007 წლის სისხლიან 7 ნოემბერს, მაშინდელ ოპოზიციონერებთან ერთად, აპროტესტებდა ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მელია კლასიკური გაგების „ნაციონალი“ არასოდეს ყოფილა და ახლაც, როგორც აცხადებს, პარტიის რებრენდინგს აპირებს და სურს, ნაციონალური მოძრაობა ერთგვარ, სახალხო გაერთიანებად აქციოს.

ერთი სიტყვით, ნიკა მელია ცდილობს, რომ რაღაცნაირად, თანამედროვე ჩე გევარა გახდეს და ამაში ხელს, რაოდენ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, მმართველი ელიტაც უწყობს. ყოველ შემთხვევაში, ბოლო რამდენიმე თვეა, ქართული პოლიტიკა, წეღანდელი თქმისა არ იყოს, სწორედ მელიას გარშემო ტრიალებს: ჯერ სამაჯური დაადეს, მერე, პროტესტის ნიშნად, მელიამ სამაჯური მოიხსნა. მაშინ ამის გამო, არავის არაფერი უთქვამს და ყასიდად, გამოკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ. ახლა კი, როცა ოპიზიციის ბოიკოტი კულმინაციას აღწევს, მელიას დაჭერა-არდაჭერის თემა ისევ გააქტიურდა.

რას მოიტანს მელიას დაჭერა? – ამაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ ყველანაირი პოლიტიკური გემოვნების ადამიანი თანმხდება, რომ დაჭერა „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეს ერთგვარ გმირად აქცევს. ზოგი ანალიტიკოსი ამბობს, რომ მელიასა და, ზოგადად, ოპოზიციის იმ ფრთის მიზანიც, რომელი ფრთაც პირდაპირ თუ ირიბად სააკაშვილთან არის ბმაში, სწორედ ესაა.

სხვათა შორის, „გირჩიც“ სწორედ ამ ვერსიას ანვითარებს. ყოველ შემთხვევაში, 15 თებერვალს, „ლეიბორისტების“ ოფისში გამართულ, ოპოზიციის მორიგი შეხვედრიდან ნაადრევად გამოსულმა იაგო ხვიჩიამ და ასევე, ვახო მეგრელიშვილმა თქვეს, მელია დაჭერაზე თანახმა სააკაშვილის ზეგავლენითაა.

ეს, შესაძლოა, პოლიტიკური ფანტაზიაა და მეტი არაფერი, მაგრამ თუ პრაგმატულად მივუდგებით, დღეს ოპოზიცია ყველაზე ძალიან ლიდერის, თანაც ქარიზმატული ლიდერის დეფიციტს განიცდის. თუ „ვარდების რევოლუციას“ გავიხსენებთ, მაშინ ეს პრობლემა არ იყო, რადგან 2003 წლის ნოემბრის მოვლენებს მხოლოდ „ტვინი“ (ზურაბ ჟვანია) კი არ ჰყავდა, არამედ, სახალხო ლიდერიც – მიხეილ სააკაშვილი ანუ ცხონებულმა ჟვანიამ კარგად იცოდა, რომ ის მასებისთვის მისაღები ვერასოდეს გახდებოდა. სწორედ ამიტომაც, იგივე შევარდნაძის გადადგომის მერე, მან თუნდაც პრეზიდენტობაზე უარი თქვა და ეს პოსტი სააკაშვილს დაუთმო.

ზოგადად, ხალხს ზომიერად აგრესიული ლიდერები უფრო უყვარს, ვიდრე ვთქვათ, ის ჭკვიანები, რომლებიც ჩუმად არიან და საქმეს – კარგს თუ ცუდს, უხმაუროდ აკეთებენ. სააკაშვილი იმთავითვე, სწორედ ხმაურიანი პოლიტიკოსია. შესაბამისად, მასების ემოციებზე ყოველთვის კარგად თამაშობდა და თამაშობს.

ერთგვარი ქარიზმა მელიასაც აქვს, მაგრამ ყველა ხვდება, რომ მისგან თანამედროვე სააკაშვილი ვერ „გამოვა“. არადა, როგორც კულუარებში ამბობენ, მელია სწორედ სააკაშვილს ეჯიბრება და ერთხანობას, იმის მცდელობაც კი ჰქონდა, რომ ექსპრეზიდენტისთვის პარტია „დაეწერებინა“, რაც პრაქტიკულად, მოახერხა – მეორე თვეა, ყოფილი მმართველი პარტიის თავმჯდომარეა. მართალია, „ნაციონალები“ მელიასა და სააკაშვილს შორის უკმაყოფილებას უარყოფენ, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ მელიამ „სტავკა“ სრულიად ახალ სახეებზე გააკეთა და ისეთი ძირძველი „ნაციონალები“, როგორიც მაგალითად, ვანო მერაბიშვილია, აღარსად ჩანან. ისე, მელიამ პირდაპირ თქვა კიდეც, მერაბიშვილთან საერთო არაფერი მაქვსო.

ერთი სიტყვით, მელიას საქმეს რამდენიმე შრე აქვს. ერთი – ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარისგან გმირის შექმნა და მეორე – შიდაპარტიული დინება ანუ ეს ამბავი როგორც უნდა დამთავრდეს, მელია, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით, სააკაშვილზე პოპულარული იქნება, პარტიაში კი იმაზე მეტი მიმდევარი და ფანი გაუჩნდება, ვიდრე დღეს ჰყავს.

მოკლედ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ქრონიკები, რასაც ბოლო დროს თვალს ვადევნებთ, ახალი პოლიტიკური ლიდერის დაბადების მცდელობაა, თუმცა რითი დასრულდება ეს პოლიტმშობიარობა, ძნელი სათქმელია...

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა დარღვევები აღმოჩნდა ტუბერკულოზის პრევენციასა და მკურნალობაში

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა ისევ ჯანდაცვას ეხება. ამჯერად, სახელმწიფო მაკონტროლებლები ტუბერკულოზის პრევენციითა და მკურნალობით დაინტერესდნენ. „ტუბერკულოზის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი", რომელიც უწყებამ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა, 2016-2019 წლებს მოიცავს. აუდიტის შედეგად მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა. კერძოდ, გაირკვა, რომ ხარვეზებია როგორც ამ დაავადების პრევენციის მექანიზმებში, ასევე, მკურნალობის პროცესშიც.

ხარვეზები პრევენციულ მექანიზმებში

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ, ტუბერკულოზის პრევენციულ მექანიზმებში გამოვლენილ დარღვევებს გაგაცნობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაავადების შემცირებასთან ერთად, სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ეპიდზედამხედველობის მექანიზმის გამართული ფუნქციონირება, ლატენტური ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობა, მიგრაციული ნაკადებისგან მომდინარე რისკების შემცირება და მკურნალობის დროს, პაციენტზე ორიენტირებული მიდგომები. საქართველოში, ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, რომელიც მოიცავს დაავადების გამოვლენას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და მკურნალობის დამხმარე მექანიზმების ფუნქციონირებას.

„ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებთან კონტაქტში მყოფი პირების ადრეული აღმოჩენა და მკურნალობაში ჩართვა, ამ დაავადების გავრცელების რისკის შემცირების აუცილებელი წინაპირობაა. ესაა სისტემური პროცესი და გულისხმობს რეკომენდებულ დროში კონტაქტების გამოვლენას, კლინიკური კვლევისთვის ექიმთან გადამისამართებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობის პროცესში ჩართვას. მკურნალობის პროცესი შეიძლება იყოს, როგორც აქტიური ფორმის, ასევე, რისკ-ჯგუფებშიც – ლატენტური ფორმის ტუბერკულოზისთვის.

საქართველოში ეპიდზედამხედველობის მექანიზმის აღსრულება გამართულად არ ფუნქციონირებს. ჩატარებული ეპიდკვლევების დიდი ნაწილი დაგვიანებით ხორციელდება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს არ აქვს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ეპიდკვლევის ჩატარების დროულობის კონტროლი და ეპიდკვლევის ჩატარების შემდეგ, გამოკვლეული კონტაქტის ექიმთან მისვლა-არმისვლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი", – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, დაავადების ადრეული აღმოჩენისთვის, ეპიდკვლევის დროულობასთან ერთად, აუცილებელია ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის კონტაქტების სათანადო მოცვაც, რაც ერთ ინდექს-პაციენტზე ჩატარებული ეპიდკვლევის გარკვეულ რაოდენობას გულისხმობს. ქვეყნის მასშტაბით, ერთ ინდექს-პაციენტზე გამოკვლეული კონტაქტების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს ინფიცირების შემთხვევების ოპტიმალური რაოდენობის გამოვლენას. განსხვავებულია ეპიდემიოლოგების პროდუქტიულობაც რეგიონების მიხედვით, რაც დამატებითი ხელშემშლელი ფაქტორია ეპიდზედამხედველობის მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის:

„ტუბერკულოზის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, შესაბამის რისკ-ჯგუფებში ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანაში, ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 100-ს ჩამოცდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ამ ნიშნულს 7 წლის წინ მიაღწია, 5-წლამდე ბავშვების ლატენტურ ტუბერკულოზზე მკურნალობის სათანადო მოცვა უზრუნველყოფილი არ არის!"

ტუბერკულოზის გავრცელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ადამიანების მობილობაა. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტორებმა შესაბამისი რეკომენდაციაც გასცეს – იმის გამო, რომ საქართველოში, ტუბერკულოზის გავრცელების კლებადი ტენდენციაა, მნიშვნელოვანია, ქვეყანას ჰქონდეს უცხოელი ვიზიტორების მხრიდან მომავალი, ამ ინფექციის გავრცელების რისკების შეფასებისა და შემცირების მექანიზმი.

პაციენტის მკურნალობაზე დამყოლობის მექანიზმები

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოვლინდა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მკურნალობაზე დათანხმების ნაწილში.

აუდიტის დასკვნის მიხედვით, ტუბერკულოზის მკურნალობის ხანგრძლივი პერიოდისა და მკურნალობისთვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენების გამო, პაციენტების დიდი ნაწილი (2019 წელს, რეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტების 19.4%, ხოლო სენსიტიურის – 6.2%) წყვეტს მკურნალობას, რაც განკურნების პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია პაციენტის საჭიროებებზე ორიენტირებული მკურნალობის დამხმარე, დამყოლობის მექანიზმების არსებობა.

შესაბამისად, ხარვეზებია დამყოლობის კონსულტაციების ადმინისტრირებაშიც. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, არ არსებობს ჩატარებული დამყოლობის კონსულტაციების ერთიანი მონაცემები. მხოლოდ თბილისში, 2019 წლიდან დაიწყო ჩატარებული დამყოლობის კონსულტაციების ერთიანი ბაზის წარმოება. მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯისა, ბაზის სტრუქტურა არ იძლევა პაციენტის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციის აღრიცხვის საშუალებას. მეტიც, სახელმწიფო დონეზეც კი არ არსებობს დამყოლობის კონსულტაციების განხორციელების უნიფიცირებული სახელმძღვანელო.

„მიუხედავად იმისა, რომ დამყოლობის კონსულტაციები ინდივიდუალურად, პაციენტების საჭიროებიდან გამომდინარე უნდა იყოს ორგანიზებული, მნიშვნელოვანია არსებობდეს ერთიანი, წინასწარ გაწერილი მიდგომა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მოქმედი დამყოლობის კონსულტანტებისთვის საერთო იქნება. მკურნალობის დროს გამოყენებული დამხმარე მექანიზმების არასათანადო ფუნქციონირება, მკურნალობაშეწყვეტილი პაციენტების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, პაციენტებს, რომლებიც მკურნალობის რეჟიმს არ იცავენ, დამატებით, საკმაოდ სერიოზული ფინანსური დახმარება სჭირდებათ. აუდიტორების მიერ შესწავლილ 31 შემთხვევაში, როდესაც პაციენტებმა მკურნალობა შეწყვიტეს და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზი განუვითარდათ, სახელმწიფომ მათ მკურნალობაზე 371 405 ლარით მეტი დახარჯა. ეს კი მნიშვნელოვანი, ფინანსური რესურსი იქნებოდა ტუბერკულოზის მკურნალობის დროს გამოყენებული დამხმარე მექანიზმების გასაძლიერებლად

არანებაყოფლობითი იზოლაცია

სახელმწიფო აუდიტის შედეგად, ასეთი ფაქტებიც გამოვლინდა. ზოგადად, საქართველოს კანონი „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ", განსაზღვრავს არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმს, როგორც უკიდურეს ზომას. ამ კანონის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არანებაყოფლობითი იზოლაცია შეიძლება განხორციელდეს იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა, აქვს ტუბერკულოზის გადამდები ფორმა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის დაწყებაზე უარს ამბობს; იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც აღენიშნება ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა და მკურნალობდა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა შეწყვიტა და ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევის ჩატარებაზე საბოლოოდ თქვა უარი; იმ პაციენტის მიმართ, რომელსაც დაუდგინდა ტუბერკულოზის დადასტურებული შემთხვევა, დაავადებული იყო ტუბერკულოზის გადამდები ფორმით და მკურნალობდა, მაგრამ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა მის დასრულებამდე შეწყვიტა, ამასთანავე, მკურნალობის შეწყვეტის მომენტში ისევ დაავადებული იყო ტუბერკულოზის გადამდები ფორმით.

„როდესაც არანებაყოფლობით იზოლაციაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მანამდე, ყველა პრევენციული მექანიზმი უნდა გამოიყენონ, რათა მკურნალობის პროცესი მაქსიმალურად იყოს პაციენტზე მორგებული და არ დადგეს უკიდურესი ზომების მიღების საჭიროება. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2016-2019 წლებში რეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტები და გამოავლინა, რომ ამ წლებში, არ გამოიყენებოდა არანებაყოფლობითი იზოლაცია, როგორც საფრთხისგან თავის აცილების კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი გზა. 2017 წელს, რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზიან პაციენტებს შორის 17 შემთხვევა გამოვლინდა, რომლებმაც შეწყვიტეს მკურნალობა და შეწყვეტის დროს გამომყოფი ფორმის ტუბერკულოზის ინფექცია ჰქონდათ. ამ მექანიზმის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთული ფორმის ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში, როდესაც როგორც სიკვდილიანობის, ასევე, მკურნალობის ხანგრძლივობის, გვერდითი მოვლენებისა და შესაბამისი ფორმის ტუბერკულოზის გადადების განსაკუთრებით მაღალი რისკია".

არანებაყოფლობითი იზოლაცია, როგორც საფრთხის თავიდან არიდებისთვის საჭირო უკანასკნელი მეთოდი, მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ჯანმოს (ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) მიერაა აღიარებული. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, საგულისხმოა, რომ არანებაყოფლობითი იზოლაციის მექანიზმი უნდა იყოს უკანასკნელი აუცილებლობით განპირობებული და მისი აღსრულებისას, დაცული უნდა იყოს ადამიანის ყველა ძირითადი უფლება, გარდა თავისუფლად გადაადგილებისა. იქიდან გამომდინარე, რომ დაუშვებელია პაციენტის იძულება რაიმე სახის მედიკამენტის მიღებაზე, მათ შორის, არანებაყოფლობითი იზოლაციის დროს, მნიშვნელოვანია, რომ იზოლაციის პერიოდში, პაციენტის მკურნალობაზე დასათანხმებლად, ყველა საჭირო მექანიზმი გამოიყენონ.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდში, კანონით დაშვებული მეთოდის გამოყენების საჭიროება 33 შემთხვევაში დადგა, მისი აღსრულების არც ერთი პრეცედენტი არ დამდგარა. მიზეზი მარტივია – აღსრულების შესაბამისი მექანიზმი არ არსებობდა და იმიტომ!

საიდუმლო ვიზიტი რუსეთიდან და საპატრიარქოს კულუარული თამაშები

ლელა ჯეჯელავა: „საქართველოში შეიძლება, ისეთი პროცესები განვითარდეს, რომელიც ეკლესიას დაუკავშირდება და რომელსაც პოლიტიკაც მიებმება!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, სოსო გოგაშვილმა „ტვ პირველთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში სკანდალური განცხადება გააკეთა. კერძოდ, თქვა, რომ რამდენიმე წლის წინ, საქართველოში რუსეთიდან, სახელდობრ, პეტერბურგიდან, ორი ადამიანი ჩამოვიდა, რომელთაც უნდა გაეზომათ მაღალი იერარქიის მქონე სასულიერო პირებისა და პოლიტიკური პარტიების რეიტინგი. ამავე ინტერვიუდან ირკვევა, რომ ამ ორი პირის მიერ საქართველოში ჩატარებულ კვლევას დაემთხვა საქართველოს პატრიარქის მოსაყდრედ მეუფე შიოს გამორჩევა. ამ თემაზე „ვერსია“ „ეთნიკურ და კონფენსიურ ურთიერთობათა ცენტრის“ ხელმძღვანელ ლელა ჯეჯელავას ესაუბრა:

– ქალბატონო ლელა, როგორც ცნობილი ხდება, რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული ადამიანები მაღალი იერარქიის მქონე სასულიერო პირების რეიტინგს ზომავდნენ. ეს რაზე მიგანიშნებთ?

– ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ბერკეტის გამოყენება, რუსეთს სურს...

– რუსეთიდან ამ ორი პირის ჩამოსვლას დაემთხვა მეუფე შიოს მოსაყდრედ გამორჩევა. რა ლოგიკურ ბმას ხედავთ ამ ორ ფაქტს შორის?

– არ ვიქნები გამონაკლისი, ვინც საუბრობს საპატრიარქოში რუსული ინტერესების რეალიზაციაზე და შესაბამისად, იქ მეუფე შიო იქნებოდა, თუ რომელიმე სხვა მეუფე, რომელსაც გამოარჩევდნენ, არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა ანუ აპრიორი, ვიცით, რომ იმის მიხედვით გამოარჩევდნენ, რამდენად მოემსახურებოდა იმ ამოცანებს, რაც რუსეთს, საქართველოსთან დაკავშირებით ჰქონდა.

– მეუფე შიოს რა ტენდენციას ამჩნევთ? რამე ისეთი განცხადება გაუკეთებია, რაც რუსეთის ინტერესს შეასრულებდა?

– ჩვენ შეგვიძლია, შეფასებები გავაკეთოთ მხოლოდ იმაზე, რაც გარეთ გამოდის, მაგრამ ძალიან ბევრი რამ, რაც ხდება საპატრიარქოს წიაღში – გადაჯგუფება, სასულიერო პირების დანიშვნა – ყველაფერი ეს, ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მეუფე შიომ გაიმაგროს თავისი პოზიცია, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ საბოლოო გათვლა მაინც მეუფე შიოზეა. მგონია, რომ იქ ძალიან მნიშვნელივანი პროცესები განვითარდება და შეიძლება, ძალიან დიდი სიურპრიზებიც გველოდოს. არ მაქვს მოლოდინი, რომ პოსტპატრიარქისეულ ეპოქაში, გათვლა გაკეთდება რომელიმე პროდასავლურ მეუფეზე, თუმცა ასეთები იქ ნაკლებად არიან. ყველას აქვს გარკვეული პრეფერენციები რუსეთის მიმართ, რასაც მისი ერთმორწმუნეობით ხსნიან, უმრავლესობას გარკვეული კავშირები აქვს, რადგან განათლება იქ მიიღეს, ზოგი მსახურობდა და ა.შ. ანუ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი მიდის შიგნით, რომელსაც მეუფე შიო, რაღაც გუნდის დახმარებით, წყნარად და უხმაუროდ აკეთებს.

ამიტომ, სულ არ ვფიქრობ, რომ მისგან რაიმე ტიპის ხმამაღალი დეკლარაციებია აუცილებელი და საჭიროა, ვიფიქროთ, არის თუ არა რუსეთის პროექტი.

ჩვენ ვიცით, რომ რუსული პოლიტიკისთვის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ქართულ პოლიტიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტია.

ამ ინტერვიუდან ჩანს, რომ საქართველოში შეიძლება განვითარდეს პროცესები, რომელიც დაუკავშირდება ეკლესიას და რომელსაც მიებმება ახალი პოლიტიკური პროცესი...

ნუ დაგავიწყდებათ მეუფე იაკობის სულ ახლახან გაკეთებული განცხადება, ჩვენ რომელ ძალასაც დავუჭერთ მხარს, ის მოვა პოლიტიკაშიო. არ გამოვრიცხავ, რომ ეკლესიასთან დაკავშირებულ პროცესებს მიებას პოლიტიკური პროცესი.

იბრძვიან თუ არა გიგი ბოკერია, გიგი უგულავა და დავით ბაქრაძე გავლენებისთვის

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას ჰყვება „ევროპული საქართველოს“ წევრი პარტიულ განხეთქილებაზე

„ევროპულ საქართველოში“ პოლიტიკური რყევებია. პარტიიდან ზურაბ ჭიაბერაშვილი წავიდა, დავით ბაქრაძემ და გიგი უგულავამ კი თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის თანამდებობები დატოვეს. სამაგიეროდ, პარტიის ლიდერშიპს არ ტოვებს გიგა ბოკერია, რაც გუნდის ზოგი წევრისთვის მიუღებელია. როგორც პარტიაში განმარტავენ, ლიდერებს შორის უთანხმოება საპარლამენტო არჩევნების არცთუ სახარბიელო შედეგმა და პარტიის განვითარების სტრატეგიამ გამოიწვია, მაგრამ არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი დეტალი – აღნიშნულ პარტიულ რყევებს დაემთხვა გიგი უგულავას კიევში სტუმრობა და მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა. მართალია, უგულავა ადასტურებს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს შეხვდა, მაგრამ ყოფილ თანაგუნდელთან კონსპირაციულ შეთანხმებასა და მის გადაწყვეტილებასთან რაიმე კავშირს უარყოფს. ისე, პოლიტიკური ეშმაკი, სწორედ მსგავს დეტალებში იმალება ხოლმე... სხვათა შორის, შეთქმულების თეორიების არ სჯერა ჩემს რესპონდენტს, რომელიც პარტიაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს და აცხადებს, რომ გიგი უგულავასა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაში საეჭვოს ვერაფერს ხედავს... „ვერსია“ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ლელა ქებურიასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– ქალბატონო ლელა, პარტიაში რჩებით თუ წასვლას აპირებთ?

– რა თქმა უნდა, ვრჩები. გარედან როცა აკვირდები პროცესს, ნამდვილად არასასიამოვნოდ ჩანს. „ევროპული საქართველო“ თვისობრივად განსხვავებული პარტიაა, რადგან ყოველთვის ყველა ერთ აზრზე არაა ხოლმე და ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული პოზიცია გვქონია და კამათისა და მსჯელობის შემდეგ, მივსულვართ კონსენსუსამდე. ამ შემთხვევაში, პარტიის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. ამ ეტაპისთვის ვერ გეტყვით, რომელ პოზიციას მივიჩნევ მართებულად იმიტომ, რომ ამას განსაკუთრებული დაკვირვება და მსჯელობა სჭირდება.

ალბათ, პარტიის ლიდერები, რომელთაც განსხვავებული ხედვა აქვთ, სანამ პოლიტსაბჭო შედგება, წარმოგვიდგენენ პარტიის განვითარების გეგმას და ამის მიხედვით მიიღებენ პარტიის წევრები გადაწყვეტილებას.

რა თქმა უნდა, რთული პროცესია იმიტომ, რომ ცვლილება ყოველთვის შოკის მსგავსია ხოლმე პარტიისთვის, თუმცა იმ შედეგებიდან გამომდინარე, რაც „ევროპულ საქართველოს“ 31 ოქტომბრის არჩევნებზე, მიუხედავად გაყალბებისა, ჰქონდა, ნამდვილად არ გვაქვს თვითკმაყოფილების საფუძველი. პარტიას სჭირდება განახლება, სტრატეგიაზე, იმ შეცდომებსა და გარემოებებზე მსჯელობა, რომელმაც განაპირობა ეს შედეგი.

ჩვენ, ყველანი მოწადინებული ვართ, რომ პარტიის შემდგომი განვითარება იყოს უკეთესი და სწორედ ამიტომ მივიღებთ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია გვექნება პარტიის წევრებს კონკრეტულ გეგმასთან დაკავშირებით.

– ესე იგი, გიგი უგულავამ, დავით ბაქრაძემ და იმ სხვა ლიდერებმა, რომელთაც პარტიაში განსხვავებული პოზიცია აქვთ, შესაძლოა, პარტია კი არ დატოვონ, არამედ, მოქმედების საკუთარი გეგმა შესთავაზონ პოლიტსაბჭოს?

– ვერ გეტყვით, ნებისმიერი ლიდერისა და პარტიის რიგითი წევრის უფლებაა, ჰქონდეს დამოკიდებულება და კონკრეტული შეხედულება პარტიის განვითარებასთან დაკავშირებით. ამიტომ აქ საუბარი იმაზე კი არაა, რომელი პოზიციაა მართებული, არამედ, ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ და მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რაც პარტიის შემდგომი განვითარებისთვის იქნება უკეთესი.

– ქალბატონო ლელა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მსგავსი პარტიული ცვლილებები არ იქნებოდა ასეთი სენსიტიური, რომ არა ის მწვავე პოლიტიკური ვითარება, რაც ქვეყანაშია. როდესაც ოპოზიციას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული, პარტიაში მსგავსი რყევები რას ნიშნავს? შესაძლოა, თქვენი პარტიის ზოგიერთი ლიდერი მალე პარლამენტში ვიხილოთ?

– არა, ამას გამოვრიცხავ იმიტომ, რომ „ევროპული საქართველო“ იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ბოიკოტის შესახებ გადაწყვეტილება გააჟღერა და თავის დროზეც ვიცოდით, რა რისკებს შეიცავდა ეს გადაწყვეტილება, თუმცა მყარად იქნა მიღებული და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები ყოველთვის თანმიმდევრულები არიან გადაწყვეტილებებში. ამ მიმართულებით, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ სიურპრიზს არ უნდა ელოდოს ქართველი ამომრჩეველი.

– არის თუ არა პარტიაში გიგა ბოკერიას, დავით ბაქრაძესა და გიგი უგულავას შორის კონფლიქტი გავლენების გამო?

– ამაზეც დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არაა გავლენებისთვის ბრძოლა. უბრალოდ, პარტიის განვითარების გეგმასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა და ორივე პოზიცია აბსოლუტურად გულწრფელი მოტივებითაა ნაკარნახევი. ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ მის მიერ წარმოდგენილი სტრატეგია უფრო სასიკეთოა პარტიის განვითარებისთვის. გავლენებისთვის ბრძოლას ადგილი არ აქვს.

– ქალბატონო ლელა, ამ საკითხში რა როლს თამაშობს მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი? უგულავამ ხომ დაადასტურა მასთან შეხვედრა... შესაძლებელია, რომ სააკაშვილთან შესაძლო კოალიცია გახდა ის წერტილი, რის გამოც თქვენი პარტიის ლიდერშიპის პოზიცია გაიყო?

– ზოგადად, შეთქმულების თეორიების არასდროს მჯეროდა. მჯერა იმ პოზიციის, რაც გააჟღერეს კონკრეტულმა ადამიანებმა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის როლს საერთო ოპოზიციურ ბრძოლაში, დაგეთანხმებით, ნამდვილად დიდია და დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ოპოზიციის ერთიანობა შემდგომი ბრძოლისთვის, პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა იმას, რომ ეს კონკრეტული გადაწყვეტილება რაიმე ფორმით უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს, ოდნავი ეჭვითაც კი ვერ ვიტყოდი.

– ანუ, უგულავასა და სააკაშვილის შეხვედრაში საეჭვოს ვერაფერს ხედავთ?

– არა, ნამდვილად ვერ ვხედავ საეჭვოს, რადგან მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან და მსგავსი ტიპის კომუნიკაცია ნაციონალური მოძრაობის ლიდერთანაც ჩვეულებრივი მოვლენა მგონია.

– გასაგებია... როდის იკრიბება „ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭო, რომ გადაწყვეტილება მიიღოს?

– დედლაინი მაისის შუა რიცხვებია, თუმცა ეს პარტიის გადასაწყვეტია. გარკვეული მომზადება გვჭირდება პოლიტსაბჭოსთვის და შესაძლებელია, ეს დედლაინი ბოლომდე არც გაიწელოს.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

მიმდინარე წლის 11 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II. სხდომის მდივნად დაინიშნა გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა).

1. წმინდა სინოდის წევრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მან ისაუბრა განსახილველი თემების აქტუალობაზე და პირველ საკითხად დავით გარეჯის კომპლექსის – უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრებთან დაკავშირებული პრობლემა დააყენა.

აღნიშნულ თემაზე მოკლე მიმოხილვა გააკეთა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი), ხოლო ვრცელი მოხსენება წარმოადგინა აბბა ალავერდელმა, მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე).

წმინდა სინოდმა დაადგინა:

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავით გარეჯის კომპლექსის დღევანდელი სადაო მონაკვეთის მონასტრები – ჩიჩხიტური და უდაბნო წარმოადგენს ქართველი ერის ისტორიული, სარწმუნოებრივი და კულტურული იდენტობის ნაწილს.

სახელმწიფო საზღვრის დამდგენი მთავარი იურიდიული დოკუმენტი დღემდე არის 1996 წლის 13 ივნისის ოქმი, რომელიც ორივე ქვეყნის მიერაა აღიარებული და მასზე ხელი აქვს მოწერილი საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიერ დადგენილი სახელმწიფო კომისიების უფლებამოსილ პირებს.

აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთა საზღვარი უნდა გაივლოს 1938 წლის მდგომარეობით, ხოლო 1938 წელს, სასაზღვრო მდგომარეობის დამდგენ უპირატეს და ლეგიტიმურ კარტოგრაფიულ მასალას წარმოადგენს 1937-38 წლებში დაბეჭდილი 1: 200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა. ამას ამტკიცებს საქართველოს ყველა პროფესიონალი კარტოგრაფი, რომელთაც შესაბამისი სამეცნიერო უფლებამოსილება და კომპეტენცია აქვთ.

დავით გარეჯის აღნიშნულ მონაკვეთთან მიმართებაში, საქართველოს საპატრიარქო 2007 წლიდან მოყოლებული, მუდამ აფიქსირებდა თავის პოზიციას და აღნიშნული საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება დღემდე უცვლელია; კერძოდ, 1996 წლიდან, ამ სასაზღვრო შეუთანხმებელ მონაკვეთში, ჩვენს სახელმწიფოთა შორის არ მომხდარა სხვა რაიმე იურიდიული შეთანხმება, რაც არსებულ დე-ფაქტო მდგომარეობას შეცვლიდა, ხოლო საერთაშორისო სამართლის ნორმებით, სახელმწიფოთა მხრიდან დაუშვებელია დე-ფაქტო მდგომარეობის ცვლილება ცალმხრივად, რაც სამწუხაროდ განხორციელდა 2007 წელს – მონასტერ ჩიჩხიტურთან და 2019 წელს – მონასტერ უდაბნოსთან მიმართებაში, რის შედეგადაც სასულიერო პირებს, მომლოცველებსა და გარეჯის კულტურული მემკვიდრეობის სანახავად ჩასულ პირებს აეკრძალათ ჩვენი წმინდა მონასტრების მოლოცვა-მონახულება.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენს მეგობარ და პარტნიორ აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან აწარმოოს მოლაპარაკება, რათა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აღდგეს 2007 წლამდე ჩიჩხიტურის მონასტრისა და 2019 წლამდე უდაბნოს მონასტრის ტერიტორიებთან დაკავშირებული სტატუს-კვო, რა დროსაც ორივე მონასტერს ქართული მხარე განაგებდა.

ვიმედოვნებთ, განახლებული დელიმიტაციის პროცესი წარიმართება ისე, რომ არ მოხდება ჩვენი ქვეყნის იმ ისტორიული ტერიტორიების ხელყოფა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით, იურიდიულად და კარტოგრაფიულად საქართველოს კუთვნილებაა.

ასევე დაადგინეს: დაევალოს საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიას, გააგრძელოს გადაცემათა ციკლი გარეჯის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი სპეციალისტების ჩართვით.

2. წმინდა სინოდმა მოისმინა ჭყონდიდელი ეპისკოპოსი გრიგოლის (კაცია) მოხსენება COVID 19-ის პანდემიასა და ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს მიტროპოლიტებმა: შიომ (მუჯირი), ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი), დიმიტრიმ (შიოლაშვილი), დანიელმა (დათუაშლი), ისაიამ (ჭანტურია), იოანემ (გამრეკელი), საბამ (გიგიბერია), მთავარეპისკოპოსებმა: იაკობმა (იაკობიშვილმა), სპირიდონმა (აბულაძე).

წმინდა სინოდმა დაადგინა:

ეკლესია აღიარებს, რომ ჯანმრთელობა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და, შესაბამისად, მხარს უჭერს ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც ამ უფლების დაცვისკენ არის მიმართული და არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს.

მივესალმებით იმ ფაქტს, რომ კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული ვაქცინაციის პროცესი გამოცხადდა, როგორც ნებაყოფილობითი და არა სავალდებულო; ეს მეტად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს დღეს, როდესაც ვაქცინა ახალი შექმნილია და მის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სპეციალისტებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, საჯარო თუ კერძო საქმიანობისა, შევიწროვების, შეურაცხყოფის, ან დევნის ობიექტი არ უნდა გახდეს, როგორც აცრის, ისე, აუცრელობის შემთხვევაში.

საქართველოს საპატრიარქომ, შესაძლებლობის ფარგლებში, თავისი წვლილი შეიტანა პანდემიასთან ბრძოლის საქმეში. კერძოდ, გასული წლის აპრილიდან, საპატრიარქოს საავადმყოფო – თბილისის წმ. იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი ცხელების კლინიკად გადაკეთდა და 105 საწოლზე განახორციელა COVID-19-ით დაავადებულთა მკურნალობა; დღემდე სამედიცინო მომსახურება გაეწია 10 000-მდე პაციენტს, ჩატარდა სხვადასხვა სამედიცინო პროცედურებიც.

მადლობას ვუხდით ყველა ექიმსა და მედპერსონალს, ასევე, სასულიერო პირებს – ამ რთულ პერიოდში გაწეული თავდადებული შრომისათვის.

პანდემიასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე, ახლა სხვა ვითარება დგება და საჭიროა საზოგადოების მომზადება.

ვინაიდან მოსახლეობაში, მათ შორის ეკლესიის მრევლში, არის კითხვები და მოლოდინი სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ ღონისძიებებთან მიმართებაში, ვფიქრობთ, აუცილებელია, პასუხი გაეცეს, მათ შორის, შემდგ საკითხებს:

ა) რა სახის ვაქცინები შემოვა ქვეყანაში?

როგორია მათი წარმოშობა, დამზადების ტექნოლოგია, მოქმედების მექანიზმი, ხანგრძლივობა, ეფექტურობა?

არის თუ არა დაცული ბიოეთიკის ნორმები?

ბ) პროფესიონალთა მიერ უნდა განიმარტოს, რა საფრთხის შემცველია აუცრელობა პანდემიის პირობებში? ასევე, უნდა განიმარტოს, რა გვერდითი მოვლენები და გართულებები ახლავს ვაქცინაციას, როგორც დროის მოკლე პერიოდში, ისე, ხანგრძლივ პერსპექტივაში; სახელმწიფოსგან რა სახის დახმარება გაეწევა ბენეფიციარს, აცრით გამოწვეული გართულების შემთხვევაში?

საქართველოს ეკლესია დიდად აფასებს იმ სიკეთეს, რაც ზოგადად, მედიცინას მოაქვს ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისთვის, თუმცა პასუხისმგებლობას ვერ აიღებს ვაქცინაციის პროპაგანდასთან მიმართებაში, რადგან ეს ჯანდაცვის მუშაკთა კომპეტენცია და პასუხისმგებლობაა.

3. წმინდა სინოდმა მოისმინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორეს (ჭუაძე) მოხსენება პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ შექმნილი, „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია – ბიბლიური თავისუფლების“ საქმიანობის შესახებ, რომელიც ოფიციალურად არის დარეგისტრირებული სახელმწიფოს მიერ.

წმინდა სინოდმა განაჩინა:

ცნობილია, რომ აღნიშნულ რელიგიურ ორგანიზაციაში მიღებულ პირებს (განურჩევლად სქესისა), მათი „ეპისკოპოსთა კრება“ ანიჭებს „სასულიერო პირის“ წოდებას და აძლევს დამადასტურებელ მოწმობას. ამ მოწმობას ითვალისწინებს სახელმწიფო და მის საფუძველზე, წვევამდელებს ათავისუფლებს ჯარიდან.

ახალგაზრდების დიდი ნაწილი, სწორედ აღნიშნული მოტივის გამო გახდა „ბიბლიური თავისუფლების“ წევრი; სინამდვილეში, მათი უმრავლესობა თავს კვლავ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად მიიჩნევს და ვერ აცნობიერებს, თუ რა დიდი შეცდომა აქვს დაშვებული.

ამიტომაც განვმარტავთ: საეკლესიო სწავლებით, მღვდლობა წარმოადგენს ერთ-ერთ საიდუმლოთაგანს. სასულიერო პირად ხელდასხმის საიდუმლო სრულდება საღმრთო ლიტურგიის დროს, შესაბამისი ასაკის, სქესისა და მომზადების მქონე პირზე, ეკლესიაში კანონიერად დადგენილი ეპისკოპოსის მიერ. სხვა სახით სამღვდელო პატივის მინიჭების ლეგიტიმურობას კი მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს;

ასეთ რელიგიურ ორგანიზაციაში გაწევრიანება და „სასულიერო პირად“ გახდომა არის ნებაყოფლობით დატოვება მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღისა, თუნდაც, რომ ეს მათ მიერ მიჩნეულ იქნეს ფორმალურ ქმედებად.

სპეკულაციები, რელიგიური, დიდი დატვირთვის მქონე ცნებებით, არის მკრეხელობა და „ბიბლიური თავისუფლების“ „ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებით“ „დადგენილ“ „სასულიერო პირებს“, მართლმადიდებლური ეკლესია მიიჩნევს თვითმარქვიად, ხოლო მათ ქმედებას – საეკლესიო სწავლებისა და მსახურების შეურაცხყოფად.

დასასრული მე-8 გვერდზე

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება

მე-7 გვერდიდან

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, „ბიბლიური თავისუფლების“ წევრებს ეკრძალებათ, როგორც წმინდა ზიარება, ასევე, სხვა საეკლესიო საიდუმლოებებსა თუ მსახურებაში (ნათლობა, ჯვრისწერა, შვიდგზის ზეთისცხება...) მონაწილეობის მიღება, ვიდრე არ შეინანებენ აღნიშნულ ცოდვას, არ გაივლიან შესაბამისი ეპიტიმიის პერიოდს და მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბრუნების პროცედურას.

შევნიშნავთ, რომ მონანიების გარეშე, გარდაცვალების შემთხვევაში, მათზე ვერც წესის აგება შესრულდება და მათ სახელებს, ღვთისმსახურებისას, ეკლესია ვერ მოიხსენიებს, რადგან ნებსით თუ უნებლიედ, თვითონ განუდგნენ მას.

4. წმინდა სინოდმა მოისმინა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) მოხსენება, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ქართული სამრევლოს მღვდელმსახურის, დეკანოზ ილია ჭიღლაძის შესახებ, რომელიც საქართველოს ეკლესიის იერარქთა მისამართით, დიდი ხანია, უკიდურესად შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებს მასმედიის საშუალებით (რის გამოც მმართველი მღვდელმთავრის მიერ, დროებითი სასჯელიც ჰქონდა დადებული). ყურადღება, ასევე, გამახვილდა 2020 წელს, მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაში, ბერდიაკონ ირაკლის (ჯინჯოლავა) გადასვლის პროცედურასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანხმობის გარეშე განხორციელდა.

წმინდა სინოდმა განაჩინა:

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სინოდალურმა კომისიამ მოისმინოს დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მთავარეპიკოპოსის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ქართული სამრევლოების მმართველის, ზენონის (იარაჯული) პოზიცია შემდგომი რეაგირებისათვის.

5. წმინდა სინოდმა მოისმინა ჭყონდიდის ეპისკოპოსი გრიგოლის (კაცია) თხოვნა ჭყონდიდის ეპარქიიდან გათავისუფლების შესახებ და განაჩინა: ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია) გათავისუფლდეს ჭყონდიდის ეპარქიის დროებითი მმართველობიდან და დადგინდეს წალკის ეპარქიის მმართველად.

6. წმინდა სინოდმა განაჩინა: ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად დადგინდეს მიტროპოლიტი სტეფანე (კალაიჯიშვილი) და მანვე შეითავსოს ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მმართველობა.

7. წმინდა სინოდმა მოისმინა შემოქმედელი მიტროპოლიტის იოსების (კიკვაძე) გამოსვლა, აღნიშნული ეპარქიის მღვდელმოქმედება აკრძალული დეკანოზ ბასილ კვირჩილაძის შესახებ.

და განაჩინა:

დეკანოზ ბასილ კვირჩილაძის საკითხის შესწავლა დაევალოს სინოდალურ ზნეობრივ კომისიას.

8. წმინდა სინოდმა მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრის, მიტორპოლიტ შიოს (მუჯირი) ინფორმაცია ბოლო დღეებში. მასმედიის საშუალებით, გარკვეული ჯგუფის მიერ გავრცელებული, ცალსახად შეურაცხმყოფელი და ტყუილზე აგებული განცხადების შესახებ, თითქოს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მღვდლელმთავრები გეგმავენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გადაყენებას.

ითქვა, რომ ამ ადამიანებს უკვე ჩვეულებად ექცათ ცილისწამება ეკლესიისა და მის იერარქთა მიმართ. იკვეთება მათი მიზანმიმართული საქციელი – ცრუ ინფორმაციის საფუძველზე მიაღწიონ პოპულიზმს, გააღიზიანონ საზოგადოება და მოახდინონ ეკლესიის დისკრედიტაცია.

აღინიშნა, რომ მათი მოქმედება არის უპასუხისმგებლო და ქრისტიანისთვის სრულიად შეუფერებელი.

9. ასევე, წმინდა სინოდის წევრებმა იმსჯელეს აკრძალვაში მყოფ მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ქმედებებზე. ითქვა, რომ, სამწუხაროდ, იგი ბოროტად იყენებს სინანულისათვის მიცემულ ვადას, მასმედიის საშუალებით, კვლავ აგრძელებს დესტრუქციულ ქმედებებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის წევრების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კამპანიას.

წმინდა სინოდმა განაჩინა: შეიქმნას სინოდის მღვდელმთავრებისაგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეისწავლის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ქმედებებს და დასკვნას წარუდგენს სინოდის სხდომას.

10. წმინდა სინოდმა იმსჯელა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან სასულიერო პირების განტევებისა და სხვა ადგილობრივი ეკლესიებიდან მათი მიღების წესის შესახებ

განაჩინა: საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის 1995 წლის მართვა-გამგეობის დებულების მე-7 თავის, მე-7 პარაგრაფი დაზუსტდეს შემდეგი სახით: VII; §7.

ა) ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება აქვს, კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით, მიიღოს თავის ეპარქიაში სამსახურისთვის, სხვა ეპარქიიდან გადმოსული სასულიერო პირი, თუ მას აქვს თავისი ეპისკოპოსისგან „განტევების სიგელი“. აგრეთვე, მღვდელმთავარს უფლება აქვს გაუშვას თავისი ეპარქიიდან სხვა ეპარქიებში სასულიერო პირები და მისცეს მათ „განტევების სიგელები“.

ბ) ეპარქიის მღვდელმთავარს, კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი თანხმობის შემდეგ შეუძლია, მისცეს „განტევების სიგელი“ მის იურისდიქციაში მყოფ სასულიერო პირს (მღვდელი, დიაკონი) და მონაზონს, სხვა ადგილობრივი ეკლესიის იურისდიქციაში გადასასვლელად. აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად, მმართველმა ეპისკოპოსმა უნდა გასცეს: „დამამტკიცებელი“ და „განტევების სიგელები“, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ე.წ. „წარდგინების (სარეკომენდაციო) სიგელი“. აგრეთვე, კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი თანხმობის შემდეგ, მღვდელთავარს შეუძლია, თავის იურისდიქციაში მიიღოს სხვა ადგილობრივი ეკლესიის იურისდიქციიდან კანონიკურად განტევებული სასულიერო პირი (მღვდელი, დიაკონი) და მონაზონი.

11. წმინდა სინოდმა იმსჯელა ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწისა და საერო პირის კანონიზაციის, ასევე, საქართველოს ეკლესიის კალენდარში სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების წმინდათა მოხსენიების თაობაზე და განაჩინა: საკითხი შესასწავლად გადაეცეს წმინდათა კანონიზაციის კომისიას.

12. წმინდა სინოდმა მოისმინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრის, მიტორპოლიტ შიოს (მუჯირი) ინფორმაცია, განსახილველად შემოტანილ საღვთისმეტყველო თემასთან დაკავშირებით.

განაჩინეს: აღნიშნული საკითხი განსახილველად გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიას.

საქართველოს საპატრირქო
2021 წლის 11 თებერვლის განჩინება

სამართალი

№3 17 თებერვალი 2021 წ

ვინ არის ბიზნესმენი, რომლის ცოლიც, საყვარელთან ერთად, ჯერ მოკლეს და მერე დაწვეს

ბათო ჯაფარიძე

ბედნიერია ის თაობა, რომელსაც საქართველოს 90-იანი წლები არ ახსოვს. გაჭირვების გარდა, ჩვენ ძმათამკვლელი ომი ვნახეთ, ვნახეთ ქუჩაში იარაღით მოსიარულე ახალგაზრდები, რომლებიც მზად იყვნენ, ერთი ღერი სიგარეტის გამო, ან უბრალოდ, გასართობად, ნებისმიერი მოეკლათ. დაუცველი იყო ყველა, ასე განსაჯეთ, ხშირად მილიციაც კი დაუცველი გახლდათ და თუ ცნობილ კრიმინალს დააკავებდნენ, მისი ძმაკაცები იარაღით, საბრძოლო ტექნიკით მიდიოდნენ განყოფილებასთან და სამართალდამცავებს აიძულებდნენ, დაკავებული გაეთავისუფლებინათ. ჰო, ეს იყო საქართველო, რომელსაც სისხლი ყოველდღიურად სდიოდა, ახალგაზრდების სისხლი...

თბილისში 8 წლის ბავშვი სისხლისგან დაიცალა – სამმაგი მკვლელობის შემზარავი დეტალები

საქართველოში, სწორედ 90-იანი წლები იდგა და შესაბამისად, შემთხვევებზე გასვლას ექიმებიც ერიდებოდნენ. მიზეზი მარტივი იყო – არცთუ იშვიათად, დაჭრილის დასახმარებლად გასული ექიმებისთვის ან დაზარალებულის მეგობრებს დაუდიათ იარაღი, თუ არ გადაარჩენთ, თქვენც მოგკლავთო, ან პირიქით – დამნაშავეები იშვერდნენ იარაღს, არ დაეხმაროთ, მოკვდესო. მიუხედავად ამისა, როცა სასწრაფოში შეტყობინება შევიდა, 8 წლის ბავშვი იცლება სისხლისგანო, სასწრაფო დახმარების მანქანა ადგილზე გავიდა, მაგრამ ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლო – ის სისხლისგან დაიცალა. ბავშვი მიტოვებულ შენობასთან იპოვეს და გაჩნდა ვერსია, რომ ის არმატურას, ან სხვა ბასრ საგანს შემთხვევით წამოეგო, მას ზურგი ჰქონდა დაზიანებული და შემავალი ჭრილობაც სწორედ ამის საფუძველს იძლეოდა – კვალი, ოდნავ წაწვეტებული საგანი არმატურის გადანაჭრელზე აშკარად მიუთითებდა. სამართალდამცავებმა საქმე მალე დახურეს.

„ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საქმე, რომელიც პრაქტიკაში მქონია. მაშინ იმდენი მკვლელობა ხდებოდა საქართველოში, მსგავს შემთხვევებს მარტივად ხურავდნენ. კარგად მახსოვს, როგორ ყვიროდა ბოლო ხმაზე ბავშვის დედა, შვილი მომიკლესო, მაგრამ არავინ მოუსმინა. რატომ? იმიტომ, რომ ბავშვის მამა ჩვენ გვეთანხმებოდა, უბედური შემთხვევა მოხდა, ჩვენ არც მუქარა მიგვიღია ვინმესგან, არც მტრები გვყავსო. საქმე სუფთა სინდისით დავხურეთ და რაც მთავარია, ბავშვების გატაცების შემთხვევები კი გვქონდა, მაგრამ მკვლელობის – თითქმის არა და ამიტომ, უმძიმესი დანაშაული გამოვრიცხეთ“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ერთ კვირაში, სამართალდამცავებს, დასანგრევად და გასაძარცვად განწირული ქარხნის დარაჯმა დაურეკა და შეატყობინა, რომ ტერიტორიაზე ორი გვამი აღმოაჩინა.

„ღამე საყარაულოში ვიყავი, როცა ქარხნის ბოლოსკენ სინათლე დავინახე. თავიდან მეგონა, მათხოვრები თბებოდნენ, მაგრამ მერე ცეცხლმა მოიმატა და წავედი. მართლა დიდი ცეცხლი იყო, თითქოს სპეციალურად, ვიღაცამ ხის ყუთები დაყარა და წაუკიდა. იქეთ „სტეკლოვატა“ ეწყო და ვიფიქრე, იმასაც არ წაეკიდოს-მეთქი. ამიტომ, ცეცხლმაქრის მოსატანად წავედი, შემორჩენილია ჯერ კიდევ, არავის მოუპარავს. მოვიტანე, ჩაქრობა დავიწყე და ორი გვამიც დავინახე. ჰოდა, მაშინვე მილიციაში დავრეკე, სასწრაფოში არ დამირეკავს იმიტომ, რომ გარდაცვლილები იყვნენ, მხოლოდ ქვედა კიდურები უჩანდათ მთელი“, – ეს არის დარაჯის ჩვენება.

მხოლოდ კიდურებით გვამების ამოცნობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, თუმცა ის კი დადგინდა, რომ გარდაცვლილებიდან ერთი კაცი იყო, მეორე – ქალი. ორივე ცეცხლსასროლი იარაღით იყო მოკლული და ექსპერტები ამტკიცებდნენ, მათ სანადირო თოფიდან ესროლესო.

სამართალდამცავებს ბევრი არ უფიქრიათ, მშვიდად დაელოდნენ, როდის განაცხადებდა ვინმე, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების შესახებ, თუმცა მათი სიმშვიდე მეორე დღესვე დაირღვა – თბილისში ერთ-ერთი საქმოსანი, ფულიანი ბიძა ყველაფერს ანგრევდა, ჩემი ცოლი, დაცვის წევრთან ერთად გაქრაო. მას ფეხსაცმელები ანახეს და კაცმა დაადასტურა, რომ ისინი მის ცოლსა და დაცვას ეკუთვნოდა. შემოწმდა მათი სამედიცინო ისტორია, დაემთხვა სისხლის ჯგუფი, კბილების ფორმა ანუ დამტკიცდა, რომ გარდაცვლილი, სწორედ დაცვის წევრი და არცთუ ცუდი შეძლების მქონე ბიზნესმენის ცოლი იყო. სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, გარდაცვლილები საყვარლები ყოფილიყვნენ და ისინი ქმრის შეკვეთით მოეკლათ. მით უმეტეს, ვერსად ნახეს ავტომობილი, რომლითაც წყვილი მოძრაობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქმარს შეეძლო, ავტომობილი გაექრო. აბა, სხვანაირად როგორ უნდა აეხსნა, მანქანა სახლშია, ცოლი და მცველი – ქალაქის მეორე ბოლოში?! სამართალდამცავები ელოდნენ, რომ მანქანას მალე სადმე დამწვარს იპოვიდნენ, თუმცა მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი დღის შემდეგ, განყოფილებასთან სწორედ ის მანქანა გაჩერდა, იქიდან კი ქალი გადმოვიდა და გამომძიებელთან შეხვედრა ითხოვა.

„მე ცოტა ხნის წინ, შვილი მომიკლეს, მაგრამ მილიციას ვერაფერი შევასმინე, უბედურ შემთხვევად ჩათვალეს. ჩემი ლაჩარი ქმარი კი ამბობდა, მტრები არ გვყავსო. ექვსი თვის წინ, საცხობი გავხსენით, პროფესიით კონდიტერი ვარ და საქმეს ადვილად გავართვი თავი. მერე ვიღაც კაცი გამოჩნდა, ჯერ ცოტა ფული მოითხოვა უსაფრთხოებისთვის, მერე – უფრო ბევრი, მერე კი, საცხობი გადამიფორმეო. დამემუქრა, თუ ამას არ გააკეთებ, შვილს მოგიკლავო. ჩემს ქმარს შეეშინდა, მე – არა. მამაჩემი სამხედრო იყო, სამხედრო წესებით გამზარდა, თოფების კოლექცია ჰქონდა და საცხობი რომ გამეხსნა, სწორედ ის კოლექცია გავყიდე. მხოლოდ ერთადერთი თოფი დავიტოვე მამაჩემის ხსოვნის გამო, ის, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა.

ბავშვი სწორედ მან მომიკლა და ქმარი შიშით სახლიდან გაიქცა. შვილის გასვენების შემდეგ ისევ მომადგა იმ ქალთან ერთად, ეს საცხობი შენია, ჩემო დედოფალო. არ ვიცი, ის ქალი ვინ იყო, მაგრამ ისე დაიწყო იქაურობის თვალიერება, როგორც მეპატრონემ. მერე ამ კაცმა მითხრა, თუ საბუთებს ხელს არ მოაწერ, მეორე შვილსაც არმატურაზე წამოგიგებო. ოთახში შევედი, არც გამომყოლია, იქიდან მამაჩემის თოფი გამოვიტანე, ჯერ ერთს ვესროლე, მერე – მეორეს. სხვანაირად არ შემეძლო, მათ ჩემი შვილის მკვლელობა აღიარეს. მერე გვამები დავწვი, მეორე შვილი ნათესავებთან გადავმალე, ახლა კი დავბრუნდი და აღიარებითი ჩვენებით მოვედი. მანამდე გავიგე, რომ იმ დებილ ბიზნესმენს, ცოლი დაცვის წევრთან ღალატობდა, ცოლად გაყოლასაც აპირებდა და ბიზნესს ეძებდნენ, თავი რომ ერჩინათ. ჩემს საცხობს დაადგეს თვალი და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. მე გავაკეთე ის, რაც წესით, ჩემს ქმარს უნდა გაეკეთებინა“, – ეს არის ამონარიდი ქალის ჩვენებიდან.

სამართალდამცავები შოკში იყვნენ, არ ელოდნენ საქმის ასე შემობრუნებას. ხელმეორედ დაკითხეს გარდაცვლილი ბავშვის მამა და ისიც იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ცოლი მართალი იყო, რომ შვილის მოკვლის შემდეგ შეეშინდა, უბრალოდ, სახლიდან გაიქცა და დაიმალა, ცოლი და მეორე შვილი კი გამომძალველებს შეატოვა.

სასამართლოზე მოსამართლეებიც კი ტიროდნენ, თუმცა ორი ადამიანის მკვლელობა და შემდეგ მათი დაწვა დაუსჯელად ვერ დარჩებოდა. ქალს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ეს სასჯელი მან ბოლომდე მოიხადა. სანამ ციხეში იჯდა, ქმარმა საცხობი გაყიდა, ფულით ტანსაცმელების მაღაზია გახსნა, ბავშვიც თავისთან წაიყვანა და როცა ცოლი ციხიდან გამოვიდა, წელგამართული ბიზნესი და არცთუ მცირე კაპიტალი დაახვედრა. კაცი და ქალი, ამ უკანასკნელის გათავისუფლებიდან, წელიწადნახევარში შერიგდნენ, რადგან ქალი ვერ პატიობდა ქმარს, რომ ყველაზე საჭირო დროს მიატოვა. დღეს მათ თბილისის რამდენიმე უბანში აქვთ საკონდიტრო.

როგორ გაეხვა ქვეყნის პირველი პირის ქალიშვილი კრიმინალურ სკანდალში

ბათო ჯაფარიძე

ლეონიდ ბრეჟნევი ის კაცია, ვინც ბევრს მხოლოდ იმით ახსოვს, რომ სხვა ქვეყნის ლიდერ მამაკაცებს, შეხვედრის დროს, ტუჩებში კოცნიდა. ამის გამო, თავი უხერხულად არაერთ მამაკაცს უგრძვნია, მაგრამ მძლავრი საბჭოთა კავშირის პირველ პირს, ვერავინ ვერაფერს უბედავდა. ბრეჟნევი მსოფლიოში ყველაზე დიდ იმპერიას სათავეში 1964-დან 1982 წლამდე ედგა და პოსტიც მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ... გარდაიცვალა.

„კანონიერი ქურდის“ მკვლელობა რესტორანში და გაძარცვული „ფეისები“

ბრეჟნევის ზეობის დროს, არანაკლები პრივილეგიებით სარგებლობდა მისი ქალიშვილი, გალინა ბრეჟნევა, თუმცა არამხოლოდ პრივილეგიებით – გალინა ბოჰემური ცხოვრების მოყვარული იყო და თეატრისა თუ კინოს მსახიობებთან მეგობრობდა, მათთან ერთად დროს ატარებდა და აბა, გენსეკის ნებიერას, უარს ვინ ეტყოდა?! შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ ცოტა ხნით, გალინა ბრეჟნევა ლეგენდარულ საბჭოთა ილუზიონისტსა და ცირკის მსახიობზე, იგორ კიოზეც იყო დაქორწინებული. მაშინ კიო სულ რაღაც 20 წლის იყო, გალინასთან ერთად გასტროლებზეც წავიდა, თუმცა ორი თვის შემდეგ, მოსკოვში დაბრუნებულს უთხრეს, რომ ქორწინების სახლმა მათი ქორწინება ოფიციალურად გააუქმა.

სანამ ისტორიის მოყოლას დავიწყებთ, გალინა ბრეჟნევას თავს გადამხდარ ერთ საინტერესო ისტორიას გიამბობთ: ალმასების ქარხანამ იმ ესკიზების გამოფენა მოაწყო, რომელსაც არ ყიდდა და ეროვნულ ფასეულობად მიიჩნევდა. ექსპონატებს შორის იყო ბრილიანტის უზარმაზარი გულსაბნევი, რომელიც გასაყიდად მარტივი მიზეზით არ გამოჰქონდათ – არ შეიძლებოდა, საბჭოთა მოქალაქეს მისი საყიდელი თანხა ჰქონოდა. ჰოდა, სწორედ ეს გულსაბნევი მოეწონა გალინა ბრეჟნევას, დაიმაგრა და... აღარ მოიხსნა. ვერავინ გაუბედა ეთქვა, ვერ გაგატანთო და ბოლოს, ყველაფერი ლეონიდ ილიჩს შეატყობინეს, მან კი აგდებულად უთხრა, ცოტა ხანს ატარებს, მერე დააბრუნებსო...

* * *

ერთ-ერთ რესტორანში მისასვლელი გზები გადაიკეტა. იქ მხოლოდ სამთავრობო მანქანებს ატარებდნენ და ყველა ხვდებოდა, რომ პარტიული ჩინოვნიკები საქეიფოდ ემზადებოდნენ. ასეთ საღამოებზე მოხვედრა რიგითი მოკვდავებისთვის წარმოუდგენელი იყო. საღამოს დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული, როცა საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელმა ხმამაღლა თქვა, რომ „ფაბერჟეს“ მიერ მე-19 საუკუნეში დამზადებული, მისი ანტიკვარული პორტსიგარი გაქრა. ვიღაცამ ძვირფასი საათი მოისაკლისა და ამ დროს გალინა ბრეჟნევას ხმაც გაისმა – სად არის ჩემი ბრილიანტის გულსაბნევი?

„შენ გინახავს ოთხზე დამდგარი 15 გენერალი? ისინი გენსეკის ნებიერას გულსაბნევს ეძებდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ეპოვათ, თუმცა ამაოდ. გალინამ ისტერიკა მოაწყო, შემდეგ მამას დაურეკა და იქაურობა დატოვა. ყველა იქ მყოფი შიშმა აიტანა, ამხელა ჩინის ადამიანები კანკალებდნენ“, – ყველაფერი ეს, პოლიციის გადამდგარ პოლკოვნიკს, ბატონ თენგიზს საკუთარმა კოლეგამ უამბო, რომელიც დღემდე, მასთან სტუმრად დადის და მათი მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის.

ამ არეულობაში, ორმა ოფიციანტმა რესტორნის სასადილოში ღია ფანჯარა დაინახა, სადაც სისხლის კვალი იყო. კვალი ტყისკენ მიდიოდა და ოფიციანტებიც კვალს გაჰყვნენ. დაახლოებით, ას მეტრში, ისინი მამაკაცის გვამს წააწყდნენ, რომელსაც გულმკერდის არეში ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობის კვალი ეტყობოდა. ოფიციანტები რესტორანში დაბრუნდნენ და იქ მყოფ გენერლებს ნანახის შესახებ უამბეს... მომსახურე პერსონალმა დაადასტურა, რომ ეს მამაკაცი, იმ საღამოს, ერთ-ერთ მაგიდასთან, საპატიო სტუმრის სტატუსით იჯდა, თუმცა მისი ვინაობა არავინ იცოდა. სამაგიეროდ, გამომძიებლებმა მაშინვე იცნეს – „კანონიერი ქურდი“ ნიკოლაი რეზუნოვი, მეტსახელად, „კოლია ბასიაკი“. მისი მეტსახელი არანაირად არ ნიშნავდა იმას, რომ კოლია ლოთი იყო. უბრალოდ, მან სახელი ჯიბის ქურდობით გაითქვა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მუდმივად მთვრალი მგზავრის „როლს“ ასრულებდა და სხვების ჯიბეებს ასუფთავებდა. ვერსიაც მაშინვე დაიხატა – „კანონიერი ქურდი“, როგორღაც, საღამოზე მოხვდა, თანამზრახველიც შეიყვანა, შემდეგ კი მან და მისმა თანამზრახველმა ნადავლი ვერ გაიყვეს და ერთმა მეორე მოკლა, თუმცა სამართალდამცავებს ვერ წარმოედგინათ, ვის უნდა გაებედა „კოლია ბასიაკზე“ ხელის აღმართვა, რადგან ამ უკანასკნელს, კრიმინალურ წრეებში ზედმეტად დიდი გავლენა ჰქონდა.

რიგით სამართალდამცავებს გენერლები და საელჩოების თანამშრომლები უნდა დაეკითხათ, მაგრამ საქმე გალინა ბრეჟნევას ეხებოდა და ამიტომ უარი ვერავინ გაბედა. ასე შედგა იმ სტუმრის ფოტორობოტი, რომელიც ყველას გაკვრით ახსოვდა, მაგრამ როცა დანაშაული მოხდა, ის იქ აღარ იყო. მოულოდნელად, ერთ-ერთმა გენერალმა ისიც გაიხსენა, რომ ახალგაზრდა საღამოზე გოგოსთან ერთად მოვიდა, ეს გოგო კი საბჭოთა კავშირის „გოს-ტორგის“ დირექტორის ქალიშვილი გახლდათ. უკვე ოფიციანტებმაც გაიხსენეს, რომ ქურდობაში მთავარ ეჭვმიტანილს, საშვი არ ჰქონდა, მაგრამ ის რესტორანში, სწორედ „გოს-ტორგის“ შეფის შვილმა შეიყვანა. სამართალდამცავები ინგა სოლოვეის (ასე ერქვა გოგოს) დასაკავებლად წავიდნენ. ის უხმაუროდ აიყვანეს და დაკითხეს, თუმცა გოგო მხრებს იჩეჩავდა – ის ბიჭი შემთხვევით გავიცანი, რესტორანთან იდგა და მთხოვა, მშია, შიგნით შემიყვანეო. სამართალდამცავები მიხვდნენ, გოგო რაღაცას და ვიღაცას ხელს აფარებდა. მით უმეტეს, რომ ფოტორობოტიდან მათ 20 წლამდე, საკმაოზე მეტად სიმპატიური ბიჭი უმზერდათ. ესეც არ იყოს, ექიმებმა სოლოვეი შეამოწმეს და დასკვნა დადეს – გოგონა ორსულად იყო.

„გოს-ტორგის“ შეფი ბრეჟნევს ფეხებში ჩაუვარდა, ჩემს გოგოს ტყუილად აწვალებენო და ლეონიდ ილიჩმაც ბრძანება გასცა – გაათავისუფლეთ!

ყველაფერი ეს, გამომძიებელს მოეწონა კიდეც, რადგან მიხვდა, გოგონას ასე უფრო თავისუფლად დააკვირდებოდა და რაც მთავარია, თუ ბიჭს უყვარდა და ისიც იცოდა, რომ ორსულად იყო, აუცილებლად მიაკითხავდა. პარალელურად, „კოლია ბასიაკის“ მკვლელს კრიმინალური სამყაროც უწყვეტ რეჟიმში ეძებდა. „კანონიერი ქურდის“ მკვლელი აუცილებლად უნდა მომკვდარიყო, ეს იცოდა ყველამ და ამიტომ, ყველა დღე-ღამეს ასწორებდა რაიმე ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუმცა ამაოდ. ინგა სოლოვეის თვალთვალმა შედეგი ვერ გამოიღო – მასთან სულ სამი დაქალი მიდიოდა სტუმრად და მათგან ერთ-ერთი, ყველაზე ხშირად, თითქმის მთელ დღეს მასთან ატარებდა.

გამოძიება კვლავ ჩიხში შევიდა. სწორედ ამ დროს, თვალთვალზე მყოფმა ერთ-ერთმა სამართალდამცავმა პატაკი დაწერა: „გოს-ტორგის“ შვილი ამორალურ ცხოვრებას ეწევა. მან სადარბაზოში, თავის დაქალს, ტუჩებში რამდენჯერმე ძალუმად აკოცა...“

გამომძიებლები მიხვდნენ – სინამდვილეში, დაქალი კარგად შენიღბული მამაკაცი იყო. სპეცოპერაცია სამი დღის განმავლობაში იგეგმებოდა და ესეც ორი მიზეზის გამო. პირველი – საქმე გალინა ბრეჟნევას ეხებოდა და ჩავარდნას არავინ აპატიებდა და მეორეც, მართალია, ქალის ფორმა ეცვა, მაგრამ სავარაუდო დამნაშავეს აშკარად ეტყობოდა, კარგად ნავარჯიშები იყო და შესაძლებელი გახლდათ, სამართალდამცავებს ხელიდან გასხლტომოდა. სპეცოპერაციამ წარმატებით ჩაიარა – მილიციამ 20 წლის ანდრეი კურდიაევი დააკავა. ის იმ დროისთვის, მთელ საბჭოეთში ცნობილი ცირკის მსახიობისა და ჯამბაზის, ლეონიდ კურდიაევის შვილი გახლდათ. თავად უფროსი კურდიაევი, ერთ-ერთი ილეთის შესრულებისას, ბაგირიდან ჩამოვარდა, ხერხემალი დაიზიანა და წელიწადზე მეტი, ეტლს იყო მიჯაჭვული. სხვათა შორის, აყვანის დროს, ანდრეიმ მოასწრო და ორი თანამშრომელი დაჭრა.

კურდიაევმა დანაშაული პირველივე დაკითხვაზე აღიარა და დანანებით თქვა, რომ სულელურად ჩავარდა. მან ისიც აღიარა, რომ „კოლია ბასიაკს“ საღამოზე შემთხვევით გადაეყარა, როცა წასვლას აპირებდა, „კანონიერმა ქურდმა“ თავში წაუთაქა, ყველაფერი დააბრუნე, ამის გამო, მთელ შავ სამყაროს ააწიოკებენო. ანდრეიმ ხელით რომ ვერაფერი გააწყო, დანა იხმარა, თუმცა ცოტა მეტი მოუვიდა და გაიქცა. კოლია გაეკიდა, თუმცა გზაში სისხლისგან დაიცალა და მოკვდა.

ბუტირკის ციხეში გამომწყვდეული დამნაშავე ერთნაირად სასურველი ლუკმა იყო სამართალდამცავებისთვისაც და კრიმინალებისთვისაც. გამომძიებლის განკარგულებით, ის სამარტოო საკანში ჩასვეს, რათა კრიმინალები „კოლია ბასიაკის“ გამო არ გასწორებოდნენ და მასზე, პრაქტიკულად, 24-საათიანი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. მთავარ კითხვაზე, სად იყო ბრილიანტის გულსაბნევი, ანდრეი არ პასუხობდა და გარანტიებს ითხოვდა. დაკავებიდან მეცხრე დღეს, ის სამარტოო საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, კურდიაევმა თავი მოიკლა. ბრილიანტის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია, ის, უბრალოდ, დაიკარგა, გაქრა.

„მე არ მჯერა, რომ ანდრეიმ თავი მოიკლა. მას სიცოცხლე ძალიან უყვარდა. მისი სიკვდილი რომ გავიგე, ნერვული შეტევა დამემართა, საავადმყოფოში გადამიყვანეს და როგორც მითხრეს, ნერვიულობის ნიადაგზე, მუცელი მომეშალა. არც ამის მჯერა, მგონია, რომ აბორტი გამიკეთეს“, – ეს ინგა სოლოვეის სიტყვებია.

ძმამ დას ჯერ ცოლობა სთხოვა, შემდეგ კი მოკლა

საზარელი კრიმინალური შემთხვევა, რომელმაც სამართალდამცავები შეძრა

ბათო ჯაფარიძე

ყოველთვის ასე იყო – მეხანძრე გმირად ითვლებოდა. მეხანძრის პროფესიაზე არაერთი ბავშვი ოცნებობდა და ახლაც ოცნებობს. მართლაც, საოცარი სანახავია, ცეცხლში შესული ადამიანი როგორ ცდილობს სხვისი სიცოცხლის გადარჩენას, საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე. მაშინაც და ახლაც ძნელად წარმოსადგენია, მეხანძრე-მაშველმა რაიმე ბოროტება ჩაიდინოს, თუმცა იყო შემთხვევები, როცა მეხანძრეები მოროდიორობაში დაადანაშაულეს, მაგრამ ასეთი ფაქტები იმდენად იშვიათად ხდებოდა, რომ სათვალავში ჩასაგდებად არც ღირს.

1979 წელს, თბილისის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლებმა ჯერ სახანძრო გამოიძახეს, შემდეგ კი მილიციის განყოფილებაში დარეკეს. ერთ-ერთი ბინიდან კვამლი გამოდიოდა. სანამ მეხანძრეები ადგილზე მივიდოდნენ, მეზობლებმა კარი შეამტვრიეს და ცეცხლთან ერთად, ოთახში ახალგაზრდა გოგონას გვამიც ნახეს. მეხანძრეებს საქმე, პრაქტიკულად, არც ჰქონიათ – ოთახში წიგნების გროვა ბოლავდა, გაზქურა კი ბოლომდე იყო გახსნილი. წესით, ყველაფერ ამას აფეთქება უნდა გამოეწვია, მაგრამ მეზობლებმა გაზქურა გადაკეტეს, ფანჯრები გააღეს, წიგნებს კი წყალი მიასხეს. აი, სამართალდამცავებს კი ნამდვილად ბევრი საქმე ჰქონდათ.

„ხმაურზე გამოვედი და სამი მეხანძრე შემეჩეხა, რომლებსაც აირწინაღები ეკეთათ და მითხრეს, კორპუსი დაცალეთ, ხანძარიაო. ეზოში გადავიხედე და დავინახე, რომ სახანძროს მანქანა არ იდგა, არც უკანა მხარეს იდგა და სახანძროში ამიტომ დავრეკე, მანქანა რომ გამოეშვათ. შემდეგ ეს მეხანძრეები სადღაც გაქრნენ, მეზობლებთან ერთად კარი შევამტვრიეთ და დანარჩენი იცით“, – ეს არის ამონარიდი იმ მეზობლის ჩვენებიდან, რომელიც გარდაცვლილის კარის მეზობლად ცხოვრობდა.

გოგონა დანით იყო მოკლული. მეზობლების თქმით, დილით მისი მშობლები, მივლინებით, შუა აზიაში გაემგზავრნენ – დედაც და მამაც ბიოლოგები იყვნენ. რაც შეეხება ძმას, ის სამი წლის წინ, ჯარში წავიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა, სავარაუდოდ, საცხოვრებელი შეიცვალაო, ამასაც მეზობლები ამბობდნენ.

მშობლებთან დაკავშირება მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოხერხდა, ძმის კვალს კი ვერც სამართალდამცავებმა მიაგნეს და დედ-მამამაც დაადასტურა, ცუდი საქციელის გამო, ბიჭი სახლიდან, უბრალოდ, გააგდეს და მისი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ, არც კითხულობდნენ და არც აინტერესებდათ. სახელითა და გვარით, სამართალდამცავებმა ძმას ვერ მიაგნეს, მაგრამ მთავარი ეს არ გახლდათ – მთავარი იყო, ვინ ჩაიდინა მკვლელობა, თანაც მეხანძრის ფორმაში? მაშინ მეხანძრის ფორმა ასე ადვილად საშოვნელი არ იყო და მილიციამ ყველა განყოფილება გადაამოწმა. გაირკვა, რომ ერთ-ერთში, მეხანძრის სამი კომპლექტი დაიკარგა, თუმცა ქურდი ვერ იპოვეს და კომპლექტები, უბრალოდ, ჩამწერეს. საინტერესოა, რომ იმავე სახანძროში, მკვლელობის დღეს, გამოძახებაზე სამი მეხანძრე გავიდა. ისინი უკან სამ საათში დაბრუნდნენ და განაცხადეს, ცრუ განგაში იყოო. ყველაფერი ეს, სერიოზულ ეჭვს აჩენდა. ჯერ ერთი, სახანძრო ეკიპაჟი ექვსი კაცისგან შედგებოდა, მაგრამ სამეულმა სხვა წევრები არ გაიყოლა და მეორეც, თუ ცრუ განგაში იყო, მისვლა-მოსვლას სამი საათი რად უნდოდა? არადა, სამივე მეხანძრის სურათი საპატიო დაფაზე იყო გამოკრული, ისინი უშიშარ მეხანძრეებად და გმირებადაც კი ითვლებოდნენ, ამიტომ ძნელი და მტკივნეული დასაჯერებელი იყო, რომ ბინა სწორედ მათ გაქურდეს და თან გოგონაც მოკლეს.

მილიციამ სამივე დააკავა, თუმცა ყველაფერი მარტივად გაირკვა. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, ერთ-ერთ მათგანს ეჭვი გაუჩნდა, რომ ცოლი ღალატობდა სწორედ მაშინ, როცა ღამის მორიგე იყო. ამიტომ, ცრუ გამოძახება გაითამაშეს და სწორედ იმ მეხანძრის ბინისკენ წავიდნენ. სახანძრო კიბით, კაცმა საკუთარი სახლის მესამე სართულზე, საძინებელში შეიხედა და დარწმუნდა, რომ მისი ეჭვები არცთუ უსაფუძვლო იყო. ქალი ვიღაც მამაკაცთან ერთად ნებივრობდა. ყველაფრის მიუხედავად, მეხანძრემ მშვიდად მოაგვარა ყველაფერი, განცხადება შეიტანა განქორწინებაზე, მაგრამ სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ ქალი უმძიმესი ტრავმებით საავადმყოფოში, რეანიმაციულ განყოფილებაში იწვა. მეხანძრე ამ შემთხვევაშიც უბრალო იყო – ქალი საკუთარმა მამამ მას შემდეგ სცემა სასტიკად, რაც ქმართან დაშორების მიზეზი გაიგო.

გამოდიოდა, ეს მეხანძრეები არაფერ შუაში იყვნენ და სამართალდამცავებმა ახლა სხვა თანამშრომლების შესწავლა დაიწყეს. ფაქტია, მეხანძრის სამი ეკიპირება, სწორედ იქიდან დაიკარგა. მილიციამ ყველა თანამშრომლის პირადი საქმე გამოითხოვა და მათი შესწავლა დაიწყო. სწორედ მაშინ გაირკვა ერთი საინტერესო ფაქტი – ერთ-ერთი მეხანძრე, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მოკლული გოგოს ძმას, თუმცა გვარი არ ემთხვეოდა. გამოძიებამ ეს მსგავსება შემთხვევითობას არ დააბრალა და მის პირად საქმეს ბოლომდე გაჰყვა. გაირკვა, რომ ბიჭმა გვარი, დაახლოებით, ერთი წლის წინ შეიცვალა, ხოლო სამსახურში მკვლელობის საღამოდან აღარ გამოჩენილა. ეს უკვე ხელჩასაჭიდი ძაფის ბოლო იყო.

სამართალდამცავებმა ბინაში მიაკითხეს, მაგრამ ის არც სახლში უნახავს არავის. მეზობლებმა თქვეს, რომ მისი ასავალ-დასავალი ორ მეგობარს ეცოდინებოდა, რომლებიც მასთან მუდმივად იკრიბებოდნენ. მეგობრების ვინაობის დადგენის შემდეგ, მილიციას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ სწორ კვალზე იდგა – წარსულში, ორივე მათგანი არაერთგზის იყო ნასამართლევი. იმავე საღამოს, მტკვარმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა – მას ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა. გარდაცვლილი სწორედ ის ძმა იყო, რომელსაც მილიცია ეძებდა და რომელზეც ოჯახმა უარი თქვა. დაახლოებით, სამ დღეში კი ის ორიც დააკავეს, თუმცა დაკითხვაზე მათგან ბევრი ვერაფერი შეიტყვეს. ბინის გაქურდვა გარდაცვლილმა შესთავაზა, უთხრა, რომ ცარიელი იყო, იქ შესულებს გოგო დახვდათ, რომელმაც ბიჭი იცნო. ბიჭი გოგოს მუხლებში ჩაუვარდა, ცოლად გამომყევიო და გამოცდილი კრიმინალები მიხვდნენ, რომ ცოცხლად არცერთის დატოვება არ შეიძლებოდა. გოგო იქვე მოკლეს, ბიჭი – გარეთ და მტკვარში გადააგდეს.

ბიჭი გოგოს ცოლობას სთხოვდა? როგორ? რანაირად? ძმა დას ცოლობას სთხოვდა? გამოძიება საერთოდ აირია და დაკითხვაზე მშობლები დაიბარეს.

„ჩვენ შვილი არ გვიჩნდებოდა, ამიტომ ბიჭი ვიშვილეთ, ერთ წელიწადში კი უკვე საკუთარი შვილი გვეყოლა. რა თქმა უნდა, ბედნიერების მთავარ მიზეზად, სწორედ ბიჭს ვთვლიდით, მაგრამ მოზრდილობის ასაკში, ბიჭმა გაიგო, რომ ნაშვილები იყო და ერთ დღეს, და-ძმას ლოგინში წავასწარით. ისინი მშვიდად გვიხსნიდნენ, რომ ეს ინცესტი არ იყო, თუმცა ჩვენ არაფრის გაგონება არ გვსურდა. ბიჭი სახლიდან გავაგდეთ და შვილს მასთან ურთიერთობა ავუკრძალეთ. ალბათ, ბიჭი სწორედ ჩვენს მოსაკლავად იყო მოსული და არ იცოდა, რომ იმ დღეს მივლინებაში მივდიოდით“, – ასეთი იყო მშობლების მონაყოლი.

მომხდარიდან სამი წლის შემდეგ, აღნიშნულმა წყვილმა კვლავ შეიტანა განაცხადი შვილად აყვანაზე, მაგრამ უარი უთხრეს.

შს მინისტრმა გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებში სამუშაო თათბირი ჩაატარა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის შემდეგ, სამუშაო თათბირი გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში, საპოლიციო დანაყოფის ხელმძღვანელებთან გამართა. შეხვედრებს მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ ბორცვაძე დაესწრო.

გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებს ახალი დირექტორები ჰყავს. ვახტანგ გომელაურმა ოზურგეთში გამართულ თათბირზე, გურიის პოლიციის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს, ლევან ხარაბაძეს წარმატებები უსურვა.

გურიის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ეწვია. ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე, მინისტრმა თანამშრომლებთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დანაშაულთან ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით არსებული მდგომარეობა განიხილა.

10 თებერვლიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს, პოლიციის პოლკოვნიკი, ნიკოლოზ დიასამიძე ხელმძღვანელობს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, პოლიციის ოპერატიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროში სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების მიზანია, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

ვახტანგ გომელაურმა გურიასა და სამეგრელოში გამართულ შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებზე ისაუბრა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით, თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები მისცა.

კახეთის პოლიციამ ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, არასრულწლოვანი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, 2003 წელს დაბადებული რ.მ. დააკავეს.

დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 15 თებერვალს, დაკავებულმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში 1978 წელს დაბადებულ დედას, ცივი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა. დაშავებულ ქალი გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი - დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 873 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 873 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, 140 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად, 733 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმას - 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

შსს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა ამკაცრებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტით, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრდება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიღების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, რაც ხელს შეუწყობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ორი ახალი მუხლი.

2861 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის შემთხვევაში. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სხვა კიბერდანაშაულებისათვის.

ასევე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 2862 მუხლი, რაც ყალბი კომპიუტერული მონაცემის შექმნისთვის, ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ინიცირებული კანონპროექტით, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსის კიბერდანაშაულის თავში. მათ შორის, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო კიბერდანაშაულის ჩადენა კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიმართ.

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი სტატისტიკა. დამნაშავეთა მხრიდან მუდმივად იხვეწება დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები, რაც სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ნორმების ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომელიც ერთი მხრივ, უპასუხებს კიბერდანაშაულის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს, ხოლო მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აჭარის პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობისა და მუქარის ბრალდებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარდაცვლილი 14 წლის გოგონას ბაბუა დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გარდაცვლილი 14 წლის ბავშვის ოჯახის წევრი - 1945 წელს დაბადებული ს.ც., მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალად ედება წინასწარი შეცნობით, ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჩადენილი მუქარა და ძალადობა.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, თავისი არასრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, მუქარა და ძალადობა განახორციელა. 2006 წელს დაბადებულმა მოზარდმა, მიმდინარე წლის 9 თებერვალს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ოჯახური ნიშნით, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი მუქარისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ამ თემასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი პირი დააკავა. 16 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დამყარებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით დაკავებულ, 1997 წელს დაბადებულ მამაკაცს, წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

police.ge

„ლივერპული“ ჩემპიონობას დაემშვიდობა

ბოლოს 2014 წელს იყო, „ლივერპულმა“ ინგლისის ჩემპიონატში სამი მატჩი მიჯრით რომ წააგო და ახლაც, ინგლისის პრემიერ-ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა, ზედიზედ სამი შეხვედრა დათმო. ამან კი ის მოიტანა, რომ ლიდერი „მანჩესტერ სიტი“, მერსისაიდელებს 13 ქულით გაექცა და თან ისე, რომ მანჩესტერელებს ერთი შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

„რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს, ვაღიარებთ, ტიტულის შენარჩუნებას ვეღარ შევძლებთ და წელს, ინგლისს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ჩვენ კი აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გავაკეთოთ, სადაც იოლი მატჩები ნამდვილად არ გველოდება“, – განაცხადა „ლივერპულელთა“ მთავარმა მწვრთნელმა, იურგენ კლოპმა.

საქართველომ თურქეთი ვირუსით დაამარცხა

როტერდამში, ტოკიოს 2021 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის, საკვალიფიკაციო ეტაპი მიმდინარეობს. 12 ნაკრები, 3 საგზურისთვის იბრვის და მათ შორისაა საქართველოც. პირველ ტურში, ქართველები საბერძნეთის უძლიერეს გუნდთან, მინიმალური სხვაობით – 11:10 დამარცხდნენ, მეორე მეტოქედ კი თურქეთი ჰყავდათ. თურქთა გუნდში კორონავირუსმა იფეთქა და ამიტომ, მასთან საქართველოს ავტომატურად მოგება ჩაეთვლება. თურქები სამშობლოში უკვე დაბრუნდნენ და შესაბამისად, ოლიმპიადასაც ავტომატურად დაემშვიდობნენ.

ჩვენს გუნდს კი წინ კანადასთან, ბრაზილიასა და მონტენეგროსთან შეხვედრები ელოდება.

ნეიმარი „ბარსელონასთან“ ვერ ითამაშებს

16 თებერვალს, ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალის პირველი რაუნდი გაიმართება. ყველაზე დიდ ინტერესს კატალონიური „ბარსელონასა“ და ფრანგული „პსჟ“-ს დაპირისპირება იწვევს. პარიზული კლუბის გულშემატკივართა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გუნდის ლიდერი ნეიმარი, დიდი ალბათობით, „ბარსასთან“ გასამართ ორივე შეხვედრას გამოტოვებს. ის გასულ ოთხშაბათს დაიმტვრა და ტრავმის მკურნალობას, სავარაუდოდ, ერთი თვე დასჭირდება.

„როგორც კი ბურთს მივიღებ, ჩემთვის მის წართმევას არ ცდილობენ, მაშინვე კოჭებში მირტყამენ და მსაჯებმა ცოტა მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ“, – წუწუნებდა ნეიმარი.

რატომ დაფრინავს მილიარდერი ეკონომ-კლასით

ჯესიკა პეგულა ჩოგბურთს რომ თამაშობს, უცხო არავისთვისაა. მსოფლიოს 61-ე ჩოგანმა, ავსტრალიაში მიმდინარე დიდი მუზარადის ტურნირზე ნამდვილი ფურორი მოახდინა და მეტოქეები ერთი-მეორის მიყოლებით ჩამოიცილა. მათ შორის ყველაზე გამორჩეული, ვიქტორია აზარენკაა, რომელსაც ორ სეტში სძლია. ახლა პეგულა 1/8-ფინალშია და მეტოქედ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, უკრაინელი ელინა სვიტოლინა ჰყავს, თუმცა სპორტული მიღწევის გარდა, იმ დარდზე გაგიმხელთ, რომელიც ჯესიკას სტანჯავს და რომელიც ვერც ავსტრალიაში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას დამალა.

ჯესიკას მამამ, ბატონმა ტერენსმა, 1983 წელს, მეგობრებისგან 7500 დოლარი ისესხა და აღმოსავლეთის რესურსების კომპანია დააარსა. კომპანია ნელ-ნელა განვითარდა და ტერენსმა ვირჯინიისა და ნიუ იორკის შტატებში მიწები შეიძინა, რომლის ფენებში ბუნებრივი აირი აღმოჩნდა, მისი წარმოება კი ჰიდრავლიკური გარღვევის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამის შემდეგ, ამერიკელებს პრობლემები შეექმნათ, რადგან გარკვეულ რეგიონებში, ონკანიდან ცივი წყლის ნაცვლად, ცხელი მოდიოდა. ტერენს პეგულამ, 2010 წელს, კომპანიის აქციების უმეტესი ნაწილი 4.7 მილიარდ დოლარად გაყიდა. 4 წლის შემდეგ კი დანარჩენი ნაწილი 1.75 მილიარდად გაასხვისა. ამის შემდეგ პეგულა უფროსმა NHL-ის კლუბი „ბუფალო“ და NFL-ის კლუბი, ასევე „ბუფალო“ შეიძინა. საერთო ჯამში, ამ საქმეში 1.4 მილიარდი დახარჯა და კლუბებისთვის ბრძოლა თვით... დონალდ ტრამპს მოუგო.

როგორ გგონიათ, რა ხეირი აქვს მილიარდერი მამისგან ჯესიკას? არც არაფერი. მას აქვს შესაძლებლობა, ტურნირებზე საკუთარი თვითმფრინავით წავიდეს, მაგრამ ამის შესაძლებლობას მამა არ აძლევს, აქაოდა, ფული შენით იშოვე და მერე იფრინე, მანამდე კი ეკონომ-კლასით ისარგებლეო. ჰოდა, მილიარდერის გოგონა რიგითი მოკვდავივით მოგზაურობს და რაც მთავარია, არსად მალავს, რომ ამის გამო, ძალიან წუხს და დისკომფორტი ექმნება.

საქართველოს ნაკრები შენგელიასა და ბითაძის გარეშე

ალბათ, გახსოვთ, რომ თბილისი „ევრობასკეტ 2022“-ის საკვალიფიკაციო ეტაპის E ჯგუფის მასპინძელია. საქართველოს სერბეთის, ფინეთისა და შვეიცარიის ნაკრებები ეწვივნენ და 15-დან 22 თებრვლის ჩათვლით, ჯგუფის დარჩენილ 2 ტურს ანუ 4 შეხვედრას ითამაშებენ. ფიბას მოთხოვნის შესაბამისად, ჯგუფის მონაწილე ოთხივე ნაკრები სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დაბინავდება და იზოლაციაში იცხოვრებს. მოთამაშეებსა და გუნდის წევრებს, ფიბა-სა და ჩვენი სახელმწიფო რეგულაციების თანახმად, პერიოდულად კოვიდტესტები ჩაუტარდებათ და პარალელურად, სპორტის სასახლეში ივარჯიშებენ. თამაშები კი 19 და 21 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში, მაყურებლების გარეშე გაიმართება.

ჩვენი ნაკრების თავკაცმა, ილიას ზუროსმა შემადგენლობა უკვე დაასახელა. თავიდანვე გეტყვით, რომ ნაკრებს ვერ დაეხმარება კაპიტანი თორნიკე შენგელია, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაშავდა და მართალია, ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ თბილისში გასამართი შეხვედრებისთვის აღდგენას ვერ ასწრებს. NBA-ში გახურებული სეზონია, რაც ავტომატურად გამორიცხავს გოგა ბითაძის ჩემოსვლას ისევე, როგორც ამერიკული სტუდენტური ლიგის, NCAA-ს ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის, სანდრო მამუკელაშვილის ასპარეზობას.

ნაკრების ღირსებას შემდეგი კალათბურთელები დაიცავენ: გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი),დუდა სანაძე (ბორაცი, სერბეთი), ბექა ბურჯანაძე (გრან კანარია, ABC ესპანეთი), კონერ მაიკლ ფრანკამპი (მურსია, ABC ესპანეთი), თად მაკფადენი (ბურგოსი, ABC ესპანეთი), მიხეილ ბერიშვილი (ალ შამალი, ყატარი), ლუკა ზაქრაძე (თსუ), გივი ბაქრაძე (ვერა), მერაბ ბოქოლიშვილი (რუსთავი), საბა ლობჟანიძე (თსუ), ალექსანდრე ფევაძე (ცხუმ-აფხაზეთი), ბექა ბექაური (ბათუმი), გიორგი კორსანტია (კაენი, NM1 ესპანეთი), ილია ლონდარიძე (ქუთაისი), გიორგი თვალაბეიშვილი (რუსთავი), კახაბერ ჯინჭარაძე (ოლიმპი).

დაჭალები

ვანო პავლიაშვილი

დედა „ჩემ ლამაზუნას“ ეძახდა, დეიდა – „მზეთუნახავს“, თუმცა თვითონ კარგად იცოდა, რომ არც „ლამაზუნა“ იყო და არც – „მზეთუნახავი“. სარკეში რომ იხედებოდა, სულ ნარგიზას სიტყვები ახსენდებოდა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს რომ მიაძახა, „ლაფატკასავით“ სახე გაქვსო. მას მერე ბევრი წელი გავიდა, მაგრამ მთელი სოფელი დღემდე „ლაფატკა თამრიკოს“ ეძახის. ამ, ცოტა არ იყოს, დამცინავ მეტსახელს, თითქოს მიეჩვია. უფრო სწორად, ყურადღებას აღარ აქცევს და ხანდახან თავს იმშვიდებს ხოლმე, „ლაფატკა“-ს კიდევ რა უჭირს, აი, ლამზირასავით, „მანეთიანს“ ხომ არ მეძახიანო.

ლამზირა თამრიკოს თანაკლასელი იყო, ბაღშიც ერთად დადიოდნენ. სანამ ბავშვები იყვნენ, მეგობრობდნენ, მაგრამ მეცხრე თუ მეათე კლასში იქნებოდნენ, სოფელში ხმა რომ გავარდა, ლამზირა „თამაზაანთ“ რეზოს ჰყვარობსო. რეზო ლამზირაზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნებოდა, სკოლა დაამთავრა თუ არა, კოლმეურნეობაში ტრაქტორისტად დაიწყო მუშაობა. რეზო არც მზეჭაბუკი იყო და არც – მიქელანჯელოს დავითი, მაგრამ რაღაც ისეთი შარმი ჰქონდა, გოგოები ბუზებივით ეხვეოდნენ. რეზოც სოფლის ხან რომელ ლამაზმანს ეპატიჟებოდა ინდურ ფილმზე და ხან – რომელს.

ერთხელაც, აგვისტო იქნებოდა, სოფელში აფიშა გამოაკრეს – „ახალი ინდური კინო. დაგვიანებულები კლუბში არ დაიშვებიან!“ სოფლის ახალგაზრდობის უმეტესობა ან ზღვაზე იყო წასული, ან მეზობელ სოფლებში, შორეულ ნათესავებთან ისვენებდა. რეზომ, ლამზირას მეტი ამფსონი ვერავინ იპოვა. ახლა, ეს დიდმკერდიანი და მოკლეფეხებიანი კომკავშირელი მაინცდამაინც არ მოსწონდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, კინოში მარტო წასვლას, ლამზირას დაპატიჟება სჯობსო. ჰოდა, ძმისცოლის დის პირით შეუთვალა, ლამზო, ამ საღამოს კინოში გეპატიჟები, ნახირი რომ ჩამოივლის, აი, მაგ დროს, ობელისკთან დაგელოდები და უარი არ მითხრაო.

ლამზირა სიხარულისგან ცას ეწია – ხუმრობა ხომ არ იყო, სოფლის ყველაზე „აჩაიანი“ ბიჭი და ყველაზე სათვალიო სასიძო კინოში ეპატიჟებოდა.

ხომ იცით, ადამიანს ბედნიერებისთვის ცოტა, ძალიან ცოტა ჰყოფნის. იმ დღეს ლამზირაც უბედნიერესი იყო – გარდერობს ეცა, თავისი ტანისამოსიდან არაფერი მოეწონა. მერე, ქექვა დედამისის კაბებში დაიწყო და თვალი ერთ ჩითის კაბას დაადგა, აი, იმას, დიდი, წითელი ვარდები რომ ეხატა და დედა ყველაზე „ტარჟესტვენ“ დღეებში იცვამდა. ცოტა გრძელი ჰქონდა და მხრებზეც ეტყობოდა, ნათხოვარი რომ იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ვარდები დიდ მკერდს ისე „დააკვდა“, მის დანახვაზე, მკვდარსაც კი ვნება აეშლებოდა.

– ამ წინეებზე, ყურების გახვრეტას რომ ვაპირებდი, ნეტავ, გამეხვრიტაო, – სინანულით ჩაილაპარაკა ლამზირამ და ახლაღა გაახსენდა, დედამისს „კლიპსები“ რომ ჰქონდა. ხან ერთ უჯრას ეცა, ხან – მეორეს, თან ბურტყუნებდა, ამ ქალმა სად ჯანდაბაში წაიღოო. მერე გაახსენდა, დედამისი სამკაულებს და სხვა ქალურ წვრილმანებს ლეიბის ქვეშ ამოდებულ ძველ ჩანთაში რომ ინახავდა. რა აღარ ნახა ლამზირამ დედამისის „ზარდახშაში“ – „ნეევდიმკები“, სათითე, ოქროს გულისფორმის კულონი – ოქროსავე წვრილი ძეწკვით, „ბიგუძები“, შუაზე გადატეხილი ის ვერცხლის კოვზი, ლამზირას პაპამ ომიდან რომ ჩამოიტანა... ბოლოს, როგორც იქნა, „კლიპსებსაც“ მიაგნო – დედას ძველი ჩანთის სარჩულზე გამოკერებულ ჯიბეში ჩაუდვია და „ზმეიკაც“ მაგრად შეუკრავს. ლამზირამ „კლიპსები“ ისე ჩაბღუჯა, გეგონება, განძი იპოვაო. სარკესთან სულ ცეკვა-ცეკვით მივიდა და ყურის ბიბილოები გახუნებული საყურეებით შეიმოსა. ახლა, სხვას რომ არ ეთქვა, თავადაც მიხვდა, რომ იმ ვარდებიან ჩითის კაბას მაინცდამაინც არ უხდებოდა, მაგრამ რას დაეძებდა ლამზირა – მთავარია, დიდი ქალივით იყო გამოპრანჭული.

– თვალს მარტო რეზოს კი არა, თუ მოვინდომე, ციურას ბოთე ქმარსაც დავუბრმავებო, – გადაიკისკისა ლამზომ და, მართალია, ნახირის ჩამოვლამდე, თითქმის ხუთი საათი იყო დარჩენილი, მაგრამ სოფლის ობელისკისკენ სირბილით წავიდა, ვაითუ, რეზო ადრე მოვიდეს და იქ რომ არ დავხვდე, ემანდ, კინოში სხვა ვინმე არ დაპატიჟოსო...

ნახირის ბოლო ძროხამ ობელისკს შებღავლა თუ არა, რეზოც გამოჩნდა და ლამზირამაც შვებით ამოისუნთქა, სიტყვის კაცი ყოფილა, მთელი დღე ტყუილად არ მაყურყუტაო. ბიჭმა ლამზირას თვალი მოჰკრა თუ არა, გაიფიქრა, ჩემს კოლექციას ეს „ფეჩიღა“ აკლდაო, მაგრამ როგორც „ქალების მუსუსებს“ სჩვევიათ, ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ კავალრობას დიდძუძუებიან ლამზირას კი არა, თითქოს იმ ინდოელ შავტუხა ლამაზმანს უწევდა, ამ საღამოს სოფლის კლუბის სცენაზე, ცეკვით ცეცხლს რომ დაანთებდა.

ლამზო რეზოს გვერდით, თავს ნამდვილ პრინცესად გრძნობდა – კლუბის კართან მდგარ თანასოფლელებს ნაძალადევი „გამარჯობა“ მიუგდო და თანხმლებ მამაკაცს „პადრუჩკი“ გაუყარა, აქაოდა, არაფერი შეგეშალოთ, დღეიდან ჩემი მფარველი რეზოაო...

ინდური ფილმი ორსერიანი იყო. მთავარ როლს, რა თქმა უნდა, მითჰუნი თამაშობდა, ჩაკრაბორტი. სანამ რეზო კინოში დაპატიჟებდა, ლამზირამ ყველა დაქალის „მეგობრობის დღიურში“ ჩაწერა, ჩემი საოცნებო კაცი „ჯიმიაო“, მაგრამ იმ საღამოს, „ჯიმის“ არსებობაც არ გახსენებია – რეზოს მხარზე თავი ჩამოადო და... კლუბში თავშეყრილ სოფლელებსაც მეტი ხომ აღარ უნდოდათ, მეორე დღეს ყველამ იცოდა, რომ ლამზირა რეზოს ჰყვარობდა. ერთხანობას, რეზოც მიჯნურის როლს თამაშობდა, მაგრამ შემოდგომაზე, სოფლის ლამაზმანები „დაჩებიდან“ რომ დაბრუნდნენ, ლამზირასკენ აღარც გაუხედავს. არადა, ამ დროისთვის უკვე ისეთი ჭორები დადიოდა, მარუსა, ქრისტინა, ანიკო, ლუიზა თუ სოფლის სხვა დედაკაცები სულ სახეს იხოკავდნენ, ეგ სასიკვდილე, ეგა, მარწყვივით გოგო შააცდინა, მაგ საწყალს, სკოლა მაინც დეემთავრებინა, ახლა რაღა ეშველებაო.

ლამზირას მშობლებს პირდაპირ ვერავინ უბედავდა, ეთქვა, თქვენი გოგო ქალიშვილი აღარ არისო, მაგრამ თინასა და ომარს დაინახავდნენ თუ არა, ქალიან-კაციანად ვიშვიშს იწყებდნენ. ჰოდა, ბოლოს, თინამაც გაიგო და ომარამაც, რეზომ ლამზირა რომ შეაცდინა. ატყდა, მაგრამ რა ატყდა: აქეთ, ლამზირას ძმა მიუვარდა რეზოს, ჩემს დას ცოლად თუ არ შეირთავ, ყელს გამოგჭრიო. რეზომ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრაო... იქით, სკოლის დირექტორი დაიბარეს რაიონში და განათლების განყოფილების გამგემ მაგიდაზე სულ მუშტები უბრახუნა, ეს საქმე როგორც გინდა, ისე გამოასწორეო. საწყალმა დირექტორმა ერთი კი ამოილუღლუღა, მე რა ვუშველო, ხომ ვერ გავკერავო, მაგრამ უფროსმა თვალები ისე დაუბრიალა, საწყალმა კაცმა ენა მუცელში ჩაიგდო. ისე, მაშინ სოფლის სკოლის დირექტორს ვინ ჩივის, ყველაზე განსწავლულ ინტელიგენტსაც კი არ მოუვიდოდა აზრად, რომ გავიდოდა წლები და ქალიშვილობის აღდგენა, პირის დაბანასავით, ყოველდღიური ამბავი გახდებოდა...

მოკლედ, ლამზირას ძმამ და რეზომ „სტრელკა“ კლუბის უკანა ეზოში დათქვეს. ორივე ძმაკაცებით მივიდნენ, სანამ საქმე დარტყმამდე მივიდოდა, კაცურად დაილაპარაკეს და რეზომ ყველას „გაუიასნა“, ლამზირა კარგი გოგოა, მაგრამ სხვა თვალით არასოდეს შამიხედავს, „პროსტა“, კინოში დავპატიჟე, მერე, სახლამდე მივაცილე. ძმურად ვაკოცე, იმან, ხო გიყვარვარო? არ მინდოდა, გული მეტკინა და თავი დავუქნიე... მესამე დღეს, შინ მომაკითხა, მარტო ვიყავი, ყავა მამიდუღა... ჰოდა... რა ვი, ეშმაკურად და ქაჯურად, ხელი ძუძუზე მამიხვდა... კაცი ვარ, რა... არც თვითონ გაუწევია წინააღმდეგობა, თან იცოდა, მაგი ცოლად მამყვანი არ ვიყავიო...

ლამზირას ძმამ, მაგ „ახურუშებულ“ ძუკნას მე მივხედავო, რეზოს მხარზე ხელი დაარტყა და... იმ ღამეს, ლამზირას სახლიდან დიდი წივილ-კივილი ისმოდა. დედა და ბებია გოგოს დაცვას ცდილობდნენ, მამა და ძმა – შინიდან აგდებდნენ...

– ამიერიდან ბოსელში დაიძინებ, – გამოიტანეს ვერდიქტი კაცებმა.

– მერე, ბავშვი? – დაიჩიფჩიფა ბებიამ.

– აბორტს გაიკეთებს, ან გავაშვილებთ! – ძმა „ოჯახურ ვლასტს“ ხელიდან არ უშვებდა...

დღისით ლამზირა ბოსელში იჯდა, რომ დაღამდებოდა და ყველა დაიძინებდა, ბებია თავის ოთახში შეაპარებდა ხოლმე... მეოთხე კვირას, გოგოს მუცელი მოეშალა... დედამ და ბებიამ, ძმას და მამას არაფერი უთხრეს... გოგო თავს ცუდად გრძნობდა, ფიზიკურადაც განადგურებული იყო და სულიერადაც... მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოვიდა. ერთხელ, ძმამ შინ ძმაკაცი მოიყვანა, გოჩა. შუახნის იქნებოდა გოჩა, ჯაგარივით წარბები ჰქონდა და „ასტამივით“ ცხვირი. ლამზირას ზედაც არ შეუხედავს, მაგრამ გოჩა თვალს არ აცილებდა. მესამე თუ მეოთხე დღესაც მოვიდა გოჩა, ლამზირა ქათმებს აჭმევდა.

– წამო, სადმე გავისეირნოთო, – შესთავაზა კაცმა.

– არაო, – იუარა ლამზირამ.

აღარ მოეშვა გოჩა... მწვანე „მოსკვიჩის“ კარი მოწიწებით გაუღო. ქალი ქურდულად ჩაჯდა... სოფლის ბოლოს, ვენახებთან გააჩერა კაცმა მანქანა. ლამზირას წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია... შინ რომ მიიყვანა, გოჩამ მანეთიანი გაუწოდა, აჰა, გო, შენთვინ „ბულკი“ იყიდეო. ლამზირამ ფული გაუთვითცნობიერებლად გამოართვა.

მეორე დილას, გოჩა „ბირჟის“ შუაგულში იდგა და... ლამზირას ვნებიანი ძუძუების ამბავს, სოფლის ყველაზე პატარა ასაკის ბიჭიც კი დორბლმორეული ისმენდა.

იმ დღიდან, ლამზირას კართან, მანეთმომარჯვებული კაცების რიგი იდგა...

– მიგონებენო, – თავს იმართლებდა, მაგრამ დიდი თუ პატარა, ლამზირას „მანეთიანს““ ეძახდა...

ის დღე იყო და ის, „ლაფატკა თამრიკოს“ „მანეთიანი ლამზირა“ აღარ უხსენებია, ან სად უნდა ეხსენებინა, სკოლა დაამთავრა თუ არა, თამრიკო ქალაქში წავიდა, მათემატიკურზე ჩააბარა. თბილისში უნდოდა დარჩენა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა. სოფლის სკოლაშიც ვერ მოეწყო და იძულებული გახდა, მოსწავლეების მომზადება შინ დაეწყო.

თამრიკო სახლიდან იშვიათად გადიოდა, ძირითადად, საცხობსა და უბნის მაღაზიაში. მართალია, 30 წელს იყო მიღწეული, მაგრამ იმის კომპლექსი, რომ „ლაფატკასავით“ თავ-პირი ჰქონდა, ვერა და ვერ დასძლია. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ვერასოდეს გათხოვდებოდა და ამიტომაც, კაცის გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ...

ყველა ალხანას, თავისი ჩალხანა ჰყავსო და თამრიკოსაც სწორედ ასე დაემართა:

მოსწავლესთან მეცადაინეობა რომ დაასრულა, მეზობლის ხმა შემოესმა.

– თამრიკოო... თამრიკოოოოოო, – აღარ გაჩერდა ნუნუ, – ხმა გამეცი, გოგოოოო...

– რა იყო, ნუნუ დეიდ, ხომ მშვიდობაა? – „ლაფატკა თამრიკომ“ ფანჯარა გახსნა.

– ვაჟამ ბიჭები მაიყვანა, წამო, მამეხმარე, – ნუნუ თამრიკოს პასუხს აღარ დაელოდა და შინ შებრუნდა.

თამრიკომ „ბუკლეს“ ხალათი შემოიცვა, ბოშებთან ნაყიდი სუნამო მიიპკურა და მეზობლის კარი შეაღო.

ვაჟას სამი ძმაკაცი მოეყვანა, ორი ხანშიშესული იყო, ერთი – შედარებით ახალგაზრდა.

– საღამო მშიდობისა, – მიესალმა დიაცი დამხვდურებს და მაშინვე მიხვდა, რომ ლევანმა, აი, იმ შედარებით ახალგაზრდა ძმაკაცმა, ცოტა სხვანაირად შეხედა. თამრიკოც მთელი ღამე „ზვერავდა“ და სტუმრები რომ წავიდნენ, ნუნუს გამოუტყდა, ლევანს რა სანდომიანი თვალები ჰქონდა, ნუნუ დეიდო.

– ი, ქა, მაგანაც მითხრა შენზე, რა სათნო გოგოაო, – ორაზროვნად ჩაიღიმა ნუნუმ.

ის დღე იყო და ის – ლევანმა ვაჟასთან სტუმრობას მოუხშირა და გამოჩნდებოდა თუ არა, ნუნუ თამრიკოს გასძახებდა, მოდი, გო, მოდი, სუფრის გაწყობაში მამეხმარეო...

თამრიკო სიხარულისგან მარტო მეცხრე ცაზე კი არ დაფრინავდა, „ვეფხისტყაოსანი“ და თითქმის მთელი სასიყვარულო პოეზია ხელახლა გადაიკითხა, სკოლაში ნასწავლი საზეპიროებიც გულდასმით გადაიმეორა და იმ წუთს ელოდა, როცა ვაჟასთან სტუმრად მოსული ლევანი თვალით ანიშნებდა, წამო, აივანზე გავიდეთო. თამრიკო დარწმუნებული იყო, რომ იმ ღამეს, ცა აუცილებლად ვარსკვლავებით იქნებოდა მოჭედილი. რკინის მოაჯირს მიეყუდებოდნენ, ციურ მნათობებს მიაშტერდებოდნენ და სიჩუმეს ლევანი დაარღვევდა:

– თამრო, ცოლად გამამყვები, გო?!

ქალი ჯერ გაინაზებოდა, წამიერად იყუჩებდა და...

და აი, ეს ღამეც დადგა – ლევანმა თამრიკოს თვალით ანიშნა, აივანზე გავიდეთო. თამრომ დაიმორცხვასავით და შეეცადა, ოთახი ისე დაეტოვებინა, არავის შეემჩნია...

ცა, მართლაც, ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და რეალობაშიც ისე მოხდა, როგორც ოცნებაში წარმოედგინა – რკინის მოაჯირს მიეყუდნენ და ლევანმა დაიროხროხა:

– დედაჩემი თავი დასთან წავიდა მელაანში, ამაღამ სახლში მარტო ვარ და ჩემთან ხომ არ წავიდეთ?!

თამრიკოს კაცის ნათქვამი მაინცდამაინც არ ესიამოვნა, მაგრამ... რამდენიმეწამიანი ყოყმანის შემდეგ, თავი დაუქნია...

ირიჟრაჟა თუ არა, ლევანმა თამრიკო გააღვიძა, შენი წასვლის დროა, მეზობლები საქონელს გამორეკავენ და არ მინდა, ვინმემ დაგინახოსო.

დასასრული მე-15 გვერდზე

„ბებრების ბანდის“ კრიმინალური ანატომია

ხუთი წლის წინ, 2015 წლის აპრილის დასაწყისში, ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი, ყველაზე დიდი ყაჩაღობა მოხდა – მძარცველებმა Hatton Garden Safe Deposit (Hatton Garden)-დან, დაახლოებით, 13.5 მილიონი ფუნტის ღირებულების სამკაულები წაიღეს. მათ ნაგვის კონტეინერებით გამოიტანეს ოქრო, ბრილიანტები, ძვირფასი ქვები, ასევე, სამკაულები, ფული და სხვა ძვირფასი ნივთები. ყაჩაღობა აღსანიშნავია არა მხოლოდ მოპარული ნივთების ღირებულებით (რომელთა დიდი ნაწილი, სხვათა შორის, ჯერაც არაა ნაპოვნი), არამედ, იმითაც, თუ რამდენად ადვილად და მარტივად იქნა ეს ძარცვა ჩადენილი და ასევე, უამრავი სასაცილო და კურიოზული დეტალით.

საუკუნის ძარცვა ლონდონში – სკანდალური დეტალები

საზოგადოება გაოგნებული იყო ყაჩაღების ასაკითაც: აღმოჩნდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში, ბანდის წევრები, საშუალოდ, 62 წლისანი იყვნენ, მათ შორის ყველაზე ხნიერი, 80 წელს გადაცილებული გახლდათ. ბანდას ხუმრობით Grandpa Gang (ბაბუების ბანდა) შეარქვეს, ასევე, უწოდებდნენ Diamond Wheezers (ალმასის ბებრებს).

Hatton Garden Safe Deposit Ltd, რესპექტაბელური ბრიტანული კომპანიაა, რომელიც 100 წელზე მეტია, აქირავებდა სეიფებს ოქროს, ძვირფასი თვლებისა და სხვა ფასიანი ნივთების შესანახად. მისი საცავი ჰატტონ-გარდენზე მდებარეობდა. ეს ქუჩა ცნობილია მრავალი საიუველირო მაღაზიით და ითვლებოდა, რომ ფორტ ნოქსივით საიმედოდ იყო დაცული, თუმცა ეს მხოლოდ იქამდე, ვიდრე ერთხელ, 2015 წლის ხანგრძლივი სააღდგომო დასვენების დღეებში, პენსიონერი მამაკაცების ჯგუფმა საწინააღმდეგო არ დაამტკიცა.

ბანდაში რვა მძარცველი იყო და მათ უმრავლესობას კრიმინალური წარსული ჰქონდა. ბანდის ხელმძღვანელი, 1939 წელს დაბადებული, ბრაიან რიდერი იყო, რომელიც 80-იან წლებში, პოლიციელის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. 1983 წელს, ის მონაწილეობდა ჰითროუს აეროპორტის საწყობის ცნობილ ყაჩაღობაში: მაშინ 26 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიპარეს და ნაძარცვის უმეტესი ნაწილს ვერსად მიაგნეს.

უკანასკნელ წლებში, ბრაიან რიდერს, რომელსაც მისი თანამშრომლები „პატრონს“ და „ბოსს“ უწოდებდნენ, მეორადი მანქანებით ვაჭრობის მცირე ბიზნესი ჰქონდა. ჰეტონ გარდენის სარდაფის გასაძარცვად ავტობუსით, სხვისი სამგზავრო ბარათით ჩავიდა. ისევე, როგორც კოლეგა დენიმ, რიდერმაც ამ საქმისთვის ფერადი ტანსამოსი ჩაიცვა – ეკეთა წითელი შარფი, რომელიც სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს და მოგვიანებით, მის სახლში იპოვეს.

მისი მთავარი თანამზრახველი იყო დანიელ ჯონსი (დენი), 1955 წელს დაბადებული, მდიდარი გამოცდილების მქონე „მედვეჟატნიკი“ – სეიფების ოსტატი, რომელიც ძარცვებში, სულ მცირე, 1975 წლიდან მონაწილეობდა. 1982 წელს, ის ექვსი წლით ციხეში ჩაჯდა, საიუველირო მაღაზიის გაქურდვის გამო.

გაგრძელება მე-16 გვერდზე

დაქალები

მე-14 გვერდიდან

„ლაფატკა თამრიკოს“, რატომღაც, ბავშვობის დაქალი გაახსენდა, ლამზირა, მთელი სოფელი „მანეთიანს“ რომ ეძახდა. ერთი ამოისლუკუნა და ბამბის ჩულქები სულ წაღმა-უკუღმა ამოიცვა. კარში რომ გადიოდა, კაცმა მიაძახა, ამ დღეებში კიდევ დაგპატიჟებო...

ლევანი თამრიკოს პერიოდულად ეპატიჟებოდა. თამრიკოც სიხარულით მიდიოდა. მეზობლებმა ჩურჩული დაიწყეს, თამროს კაცი ჰყავსო, მაგრამ ქალს ჭორებისთვის არ ეცალა – ყურებამდე იყო შეყვარებული და ყველაფერს აკეთებდა, ლევანისთვის თავი მოეწონებინა: ჯერ წონაში დაიკლო, მერე „პუდრასა“ და პომადას მიეძალა, თმაც შეიღება, მაგრამ ამ „ლაფატკასავით“ გაბრტყელებულ თავ-პირს ვერაფერი მოუხერხა. ბოლოს, იფიქრა, პროფესიას შევიცვლი და ლევანივით, მეც „საპოჟნიკი“ გავხდებიო. თავისი გადაწყვეტილების შესახებ რომ უთხრა, ნუნუს პირკატა ეცა, რას ამბობ, დედაკაცო, ქალის „საბოჟნიკობა“ ვის გაუგია, თან მშვენიერი პროფესია გაქვს, ბავშვები შენზე გიჟდებიანო, მაგრამ თამრიკომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. დედულეთში წავიდა და ერთი თვე აღარ გამოჩენილა – იქ ბებერ „საპოჟნიკს“ შეგირდად დაუდგა და... მარტო ძველმანი ფეხსაცმლის „დაპაჩინკება“ კი არა, ახლის შეკერვაც ისწავლა.

შინ რომ დაბრუნდა, ძველი სათონე საგულდაგულოდ დაალაგა – სახელოსნო მოაწყო და რკინის ჭიშკარზე დიდი ასოებით დააწერა: „ფეხსაცმლის ხელოსანი თამრიკო – ვმუშაობ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს!“

– ეჰ, რა ქალი გაუშვი ხელიდან, რა ქალი, – ეხუმრა ვაჟა ლევანს.

– ერთი მაგისიც, – თამრიკოს მისამართით შეიგინა ვაჟამ და მადიანად გადააფურთხა.

...„ლაფატკა თამრიკო“ თავს არ ზოგავდა და ცდილობდა, მისი ოსტატობის შესახებ, როგორმე, ლევანს გაეგო. თავიდან, კონკურენტი რომ გამოუჩნდა, ლევანი ძალიან გაბრაზდა. დააპირა კიდეც, მივალ მაგ ძუკნასთან და იქაურობას მივუნგრ-მოვუნგრევო, მაგრამ სანამ სიტყვას საქმედ აქცევდა, გარე ბიძაშვილის დაბადების დღეზე ერთი გოგო გაიცნო, გულში ჩაუვარდა და ხელიც სთხოვა.

ლევანისა და ცირას ქორწილში მთელმა სოფელმა მოილხინა. „ლაფატკა თამრიკო“ კი თავის სახელოსნოში იჯდა და ცრემლებს აღვარღვარებდა, ჩემი დაბადების დღე დაიწვა, დედაჩემს რატომ მუცელში არ გავუწყალდიო...

* * *

ცოლმა, ჩემი სოფელი შენსას სჯობს, სახლიც შენზე კარგი მაქვს და დედაჩემთან ვიცხოვროთო. ლევანს ზედსიძეობა მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და... ცირას სოფელში გადასახლდა.

„ლაფატკა თამრიკო“ ისევ დაკარგულ სიყვარულს მისტიროდა, ფეხსაცმელს „აპაჩინკებდა“ და ყველა კაცი, ვინც კი სიტყვა ახლო მეგობრობაზე გადაუკრა, საშვილიშვილოდ დაწყევლა.

ერთხელ, ლევანის სიყვარულის მორიგი პანაშვიდი რომ ჰქონდა, თამრიკოს ნაცნობი ხმა შემოესმა. სახელოსნოდან ქურდულად გაიხედა და ლამზირა დაინახა, „მანეთიანი“ ლამზირა.

– ამ ამოსაწყვეტს რაღა ჯანდაბა უნდაო, – გაიფიქრა და ჭიშკართან ხელების ფშვნეტით მივიდა.

– თამრო, თუ გცალია, ფეხსაცმელი გამიფუჭდა და დამიკერებ? – ღიმილით ჰკითხა ლამზომ.

– აბა, რას ვიზამ, გო, – ნაძალადევად გაიღიმა თამრიკომ.

იმ დღიდან, ლამზომ თამრიკოსთან სიარულს მოუხშირა. სოფლის დედაკაცებსაც ახალი სალაპარაკო მიეცათ.

– მეხი კი დაგეცათ მაგ უპატიოსნო თავშიო, – ქოქოლას მიაყრიდნენ ხოლმე სოფლელები დაქალებს.

მერე, თურქეთის გზა რომ გაიხსნა, ლამზომ დაიჟინა, წამო, წავიდეთ, იქნებ, ბედს ჩვენც ვეწიოთო. თამრიკომ გადაწყვეტილება ძლივს მიიღო. თურქეთიდან ჯერ ტყავის „კურტკები“ ჩამოიტანეს, მერე – სხვა რაღაცები. ერთხელაც, „ლაფატკა“ თამრიკო სამშობლოში მარტო დაბრუნდა.

– ლამზო სადააო, – დაინტერესდა ნუნუ.

– გათხოვდაო, – გაბრწყინებულმა მიუგო თამრიკომ.

– ერთი კარგი თურქი შენც გამოგიჩნდებაო, – ეხუმრა ნუნუ.

თამრიკოს არაფერი უპასუხია, გულში კი გაიფიქრა, ჩემი თურქიც და არაბიც ლევანიაო.

* * *

ამასწინათ, გავიგე, „ლაფატკა“ თამრიკო გათხოვილა – პენსიონერ სამხედროს გაჰყოლია. გერებს დედინაცვალი არ მიუღიათ. თამრიკოს ქმარი მამა-პაპისეულ სახლში მიუყვანია... სახელოსნოდ გადაკეთებული სათონე კიდევ ერთხელ გაურემონტებია და... ლარიანების მაღაზია გაუხსნია.

– საცოდავი ქალია თამრიკო. ოჯახი შექმნა, არც შია და არც სწყურია, მაგრამ... დღემდე ლევანას ელოდებაო, – ამბობენ სოფელში.

„მანეთიანი ლამზირა“ საქართველოში აღარ ჩამოსულა, მაგრამ ვიღაცას ამბავი ჩამოუტანია, ახლა ლამზო აიზი ხათუნიაო...

* * *

დღეს „ლაფატკა თამრიკო“ და „მანეთიანი ლამზირა“ აღარავის ახსოვს.

დღეს სოფელი სხვებს ჭორავს და სხვების სასიყვარულო ამბებს განიხილავს...

დასაბამიდან ასეა და დასალიერამდეც ასე იქნება: ყველა სოფელს, ქალაქსა თუ დაბას თავისი „ლაფატკა თამრიკო“ და „მანეთიანი ლამზირა“ ჰყავს...

„ბებრების ბანდის“ კრიმინალური ანატომია

მე-15 გვერდიდან

დენიმ სარდაფის ძარცვის მომზადება სხვებზე ადრე დაიწყო. აღწერილ მოვლენებამდე სამი წლით ადრე, მან ყურადღებით შეისწავლა სხვადასხვა სახის საბურღი დანადგარები ინტერნეტში.

დენის თანამზრახველებმა მის შესახებ გამომძიებლებს საოცარი რამ უთხრეს. ამ ექსცენტრიულ ყაჩაღს, ერთ-ერთი თანამონაწილის თქმით, დედის პენუარში ეძინა და ღამით ფესკას (თურქულ ქუდს) ატარებდა. ჯონსი თავის ძაღლს ადამიანივით ესაუბრებოდა, სასამართლო პროცესზე კი განაცხადა, რომ ფლობს ზებუნებრივ ძალებს და შეუძლია, გააკონტროლოს ადამიანების გონება.

პოლიციამ არ შეამოწმა ბოლო ორი განცხადების სიზუსტე, მაგრამ დენის ექსცენტრიულობა ნამდვილად არ აკლდა. ის ძარცვაზე ზოლიანი შარვლით, წითელი ბოტასებით, მუქი ლურჯი კეპითა და ასევე, შუქამრეკლი ჟილეტით მივიდა – იმისთვის, რომ ზედმეტი ყურადღება არ მიეპყროთ, ბანდიტები თავს მუშებად ასაღებდნენ.

ჯონ კენეტ კოლინზი, 1940 წელს დაბადებული, რომელსაც თანამზრახველებმა უბრალოდ, კენი უწოდეს, ექვსჯერ დააპატიმრეს, ჯამში, დაახლოებით, 13 წლის განმავლობაში – წვრილმანი ძარცვის გამო. მას ყველაზე მარტივი რამ ევალებოდა: ყაჩაღობის ადგილთან უნდა გაჩერებულიყო და საფრთხის შემთხვევაში, თანამზრახველებს რადიოთი დაკავშირებოდა.

როგორც პოლიციამ გაარკვია, კენი ვერ გაუმკლავდა მასზე დაკისრებულ ამოცანას. მას ძარცვის დროს, თავისი ფურგონის საჭესთან დაეძინა. მეტიც, მან ვერც ნაძარცვის გამოყენება მოახერხა და ნივთების ნაწილი, სწორედ მის სახლში იპოვეს.

ტერენტი პერკინსი (ტერი) დაიბადა 1948 წლის 4 აპრილს. მან საკუთარ დაბადების დღეზე, ჰეტონის ბაღების დეპოზიტარი გაძარცვა. ტერი არანაკლები „გაქანების“ ყაჩაღი იყო, ვიდრე „ბოსი“ ბრაიან რიდერი. ის მონაწილეობდა ისეთ ცნობილ საქმეში, როგორიცაა Security Express საცავის ძარცვა ლონდონში. საიდანაც დღისით, მზისით, 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოიპარეს – ეს ბრიტანეთის ისტორიაში, ფულის ყველაზე დიდი მოპარვა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცნობილი მოვლენა ტერის დაბადების დღეს მოხდა – 1983 წლის 4 აპრილს. როგორც ჩანს, მას ნამდვილად უყვარდა საკუთარი თავისთვის ძვირადღირებული საჩუქრების ჩუქება.

ტერის ბიოგრაფიაში იყო კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი – ციხიდან გაქცევა. უფრო ზუსტად, ის არ დაბრუნებულა ციხეში შვებულებიდან, რომელიც მან პატიმრობის დასრულებამდე, ცოტა ხნით ადრე აიღო. შემდეგი 16 წლის განმავლობაში, დედასთან იმალებოდა, მაგრამ არცთუ ფრთხილად: ის მძღოლად მუშაობდა და ექიმთანაც კი დადიოდა, რომელთანაც თავისი ნამდვილი სახელით იყო რეგისტრირებული. პოლიცია მას მაინცდამიანც აქტიურად არ ეძებდა: იპოვეს მხოლოდ 2012 წელს და გაგზავნეს სასჯელის მოსახდელად.

2015 წლის ძარცვა, ტერის გედის სიმღერა იყო. მრავალი წლის განმავლობაში, ის სერიოზულად იყო დაავადებული დიაბეტით. 2010 წელს, სასამართლო პროცესი უნდა დაეწყო ლონდონის ბონდის ქუჩაზე მდებარე Chatila-ს საიუველირო მაღაზიის გაქურდვაზე, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ვეღარ შეძლო.

უილიამ ლინკოლნი 1955 წელს დაიბადა, მეტსახელად, „ბილი თევზი“, რომელსაც უნდა წაეყვანა ბანდა დანაშაულის ადგილიდან. თევზის აღიარებით, ის არ იყო უმაღლესი გონების ადამიანი. გარდა ამისა, მას აწუხებდა ოსტეოართროზი და თეძოს ორი სახსარი ჰქონდა შეცვლილი. „ბილი თევზი“, კენის დასთან ცხოვრობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კენიმ გაუმხილა ძარცვის გეგმა და მასთან ერთად წავიდა საქმეზე.

ამ ჯგუფის „ახალგაზრდული“ (60 წლამდე) ნაწილი შედგებოდა 58 წლის კარლ ვუდისა და 48 წლის ჰიუ დოილისგან. ორივე მათგანი, ამ ამბის უმნიშვნელო პერსონაჟები იყვნენ. ჰიუ საერთოდ არ მონაწილეობდა ძარცვაში – მას მოეთხოვებოდა, დაეთმო სახელოსნო ნაძარცვის შესანახვად. კარლი, რომელიც დენი ჯონსის მეგობარი იყო, კრონის დაავადებით იტანჯებოდა, უმუშევრობის შეღავათებით ცხოვრობდა და რამდენიმე ათასი გირვანქის ვალი ჰქონდა, რომლის გადასახდელადაც ჩაერთო ძარცვაში.

უკანასკნელი და ყველაზე იდუმალი პიროვნება იყო ადამიანი, რომელსაც ბასილი ჰქვია და რომლის ნამდვილი სახელი ერთმა თანამზრახველმაც არ იცოდა. პოლიცია მას უფრო დიდხანს ეძებდა, ვიდრე სხვებს. მის შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ სწორედ მან გამორთო განგაშის სიგნალი და ყაჩაღებს საცავში შესვლაში დაეხმარა.

ტრენინგი

„ბებერი ყაჩაღები“ საქმეს 2 აპრილს შეუდგნენ, მანამდე კი, ფრთხილად მოემზადნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ აქტიური მომზადება ყაჩაღებმა კარგა ხნით ადრე დაიწყეს. ბრაიან რიდერის სახლის ჩხეკისას იპოვეს წიგნები – ალმასებით არალეგალური ვაჭრობის შესახებ, ბრილიანტის ტესტერი და ჟურნალები ბრილიანტებზე.

კოლინზი მრავალი დღის მანძილზე მოძრაობდა საცავის შენობის ირგვლივ, აკვირდებოდა და აფიქსირებდა თანამშრომლების მიმოსვლის გრაფიკს. პოლიციამ მოგვიანებით ვიდეოკამერების ჩანაწერებზე მრავალჯერ დააფიქსირა მისი ფურგონი.

მეზობლად მდებარე საიუველირო მაღაზიის მეპატრონე მოგვიანებით აცხადებდა, რომ 2015 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ. როგორც აღმოჩნდა, მართლაც უთვალთვალებდნენ, მაგრამ არა მას, არამედ, საცავს. მძარცველებმა შეძლეს საცავის შიგნიდან დათვალიერებაც – მათ პოტენციურ კლიენტებად გაასაღეს თავი.

მათ წიგნიც კი იყიდეს „კრიმინალისტიკა ჩაინიკებისათვის“, რათა ესწავლათ, როგორ არ დაეტოვებინათ დნმ-ი დანაშაულის ადგილზე.

ძარცვა

2 აპრილი, ხუთშაბათი – ბოლო სამუშაო დღე იყო ოთხდღიანი სააღდგომო დასვენების წინ. შენობა, სადაც ინახებოდა ასობით მილიონი ფუნტის ძვირფასეულობა, ოთხი დღით დაცარიელდა და დაკეტილი კარისა და ჩართული სიგნალიზაციის იმედად დარჩა. ეს დრო მძარცველებს ეყოთ დაგეგმილი ძარცვის განსახორციელებლად.

ხუთშაბათს, საღამოს, მუშებად გადაცმული მძარცველები ბორბლებიანი ნაგვის ურნებით, რომლებშიც ხელსაწყოები ეწყო, საცავთან მივიდნენ. საცავის დაკეტვამდე ცოტა ხნით ადრე, ბასილი შიგნით შევიდა, თავი სატელეკომუნიკაციო სამსახურის ხელოსნად გაასაღა და მობილური სიგნალის დამხშობის გამოყენებით, სიგნალიზაცია გათიშა.

შენობაში მოხვედრის შემდეგ, მძარცველებმა ლიფტის შახტაში შეაღწიეს და იქ ბურღი ჩაიტანეს. დილის რვა საათამდე, ისინი ბურღავდნენ 50 სმ-ის სისქის ბეტონს, მაგრამ უშედეგოდ, რადგან იქ ფოლადის ფირფიტაც აღმოჩნდა. ისინი წავიდნენ საცავიდან, უკან შუადღისთვის დაბრუნდნენ და უფრო ძლიერი დანადგარი მიიტანეს. ამჯერად არ ახლდათ კარლი, რომელსაც შეეშინდა და მეორედ საქმეზე აღარ წავიდა.

მეორე ცდა შედეგიანი აღმოჩნდა: მძარცველებმა გახვრიტეს კედელი იმ ზომაზე, რომ ადამიანი გატეულიყო. მათ უპრობლემოდ გატეხეს 73 სეიფი, რომელთა ღირებულებაც, პოლიციის შეფასებით, 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი იყო. ძარცვის მეორე ფაზა იდეალურად შესრულდა: ნაძარცვი უპრობლემოდ გაიტანეს და გაიყვეს: ხელსაყრელ დრომდე, თითოეულს თავისი წილი უნდა შეენახა.

როგორ დაიჭირეს და გაასამართლეს მძარცველები

გაძარცვულ საცავში სიმშვიდე სუფევდა კვირასაც და ორშაბათსაც. მხოლოდ სამშაბათს, 7 აპრილს, თანამშრომლები დაბრუნდნენ სამსახურში და აღმოაჩინეს, რომ სანამ ისინი ისვენებდნენ, ვიღაცამ გვარიანად „იშრომა“. მედიამ მომენტალურად შეიტყო მომხდარის შესახებ. პირველად, სათაურებში აცხადებდნენ, რომ ეს საუკუნის ყველაზე დიდი ქურდობა იყო და ზარალის ოდენობა 200 მილიონ ფუნტ სტერლინგს აღწევდა. პოლიციამ მკლავები დაიკაპიწა, საქმეს შეუდგა და ძალიან მალე მიაგნო ყაჩაღების კვალს. ოქრო, ბრილიანტები, ძვირფასი თვლები, სამკაულები, ნაღდი თანხა და სხვა ძვირფასეულობა, რასაც კლიენტები სეიფებში ინახავდნენ, ბანდიტებმა ნაგვის კონტეინერების მეშვეობით გაიტანეს.

პირველი ხაზი იყო კოლინზის თეთრი ფურგონი, რომელიც ბევრჯერ გამოჩნდა საცავთან ძარცვამდე და დაფიქსირდა კამერებით. რამდენიმე დღის შემდეგ, პოლიცია უკვე აკვირდებოდა ზოგიერთ ყაჩაღს.

მძარცველებს ეჭვიც კი არ გასჩენიათ, რომ უთვალთვალებდნენ და საცავში წარმატებული შეღწევიდან ერთი თვის შემდეგ, ერთმანეთს შეხვდნენ – ტერი პერკინსის დისშვილის სახლში, ნაძარცვის ნაწილის განკარგვისა და შემდგომი გეგმების განსახილველად. სწორედ მაშინ დაიჭირეს და მთელი ბანდა წარსდგა სასამართლოს წინაშე, გარდა იდუმალი ბასილისა, რომელიც აგრძელებდა დამალვას.

ექსპერტები, მათ შორის დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები, რომლებიც ბრიტანულმა მედიამ გამოკითხა, აცხადებდნენ, რომ მძარცველები ბრწყინვალედ მოემზადნენ საქმისთვის, მაგრამ საკუთარი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო, რამდენიმე გაუმართლებელი შეცდომა დაუშვეს. არაა საუბარი მხოლოდ კამერაში მოხვედრილ ფურგონზე, არამედ, მაგალითად, ისინი საერთოდ არ ზრუნავდნენ უსაფრთხოებაზე ციფრულ საკითხებში და მშვიდად განიხილავდნენ ძარცვის დეტალებს მიმოწერაში.

გარდა ამისა, ისინი ძარცვიდან ძალიან მალე შეხვდნენ ერთმანეთს. კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთმა წევრმა, ანონიმურობის პირობით, Mirror-ს განუცხადა, რომ მძარცველები, უბრალოდ, სულელურად იქცეოდნენ: ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა დაშლილიყვნენ და ეს რომ გაეკეთებინათ, მათ ვეღარ იპოვიდნენ.

დამნაშავეთაგან ოთხს – პერკინსს, ჯონსს, ლინკოლნსა და კოლინზს, შვიდ-შვიდი წელი, დანარჩენებს კი ნაკლები სასჯელი მიუსაჯეს. ჰიუ დოილმა, რომელიც სინამდვილეში, ძარცვაში არ მონაწილეობდა, პირობითი მსჯავრი მიიღო. ის დიდი ხნის განმავლობაში, ხელს ართმევდა ნაფიც მსაჯულებს და პირობა დადო, რომ მათ ქვაბებს უფასოდ შეაკეთებდა.

საინტერესო ისაა, რომ ნაძარცვის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ არ არის ნაპოვნი – ბანდიტებს არ სურდათ ნაძარცვის მიცემა.

ერთ-ერთმა მძარცველმა, დენიმ, პოლიციის მოტყუება სცადა და ნაძარცვის მხოლოდ ნაწილი გადასცა. მან თქვა, რომ თავისი წილი დამალა ედმონტონის სასაფლაოზე მდებარე სამარხში, რომელსაც სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ დათმობდა. პოლიციამ გაჩხრიკა სასაფლაო და ერთ-ერთ საფლავში განძი იპოვა, რომელიც სუპერმარკეტის ჩანთაში იდო. ამის შემდეგ, სკოტლენდ იარდმა (ბრიტანული პოლიცია) დენის სთხოვა მისულიყო და ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც მან განძი დამარხა, თანაც არ გაუმხილა, რომ ჩანთა უკვე იპოვეს. დენი პოლიციის თანხლებით ჩავიდა და მათ სხვა ადგილისკენ მიუთითა, სადაც სხვა ჩანთა იყო დამალული. მას სურდა ნადავლის ნაწილის დატოვება, მაგრამ ვერ შეძლო.

დასასრული მე-17 გვერდზე

ოჯახი რვა ბავშვის გაჩენისთვის დააჯარიმეს

ჩინეთში, ოჯახური წყვილი 407 ათასი დოლარით დააჯარიმეს, რადგან მათ რვა ბავშვი ჰყავთ. ამ ოჯახმა შობადობის დაგეგმვის პოლიტიკა დაარღვია. სიჩუანში მცხოვრებ ოჯახში გოგონები იბადებოდნენ, წყვილს კი ბიჭი ძალიან უნდოდა. 2009 წელს გაუმართლათ და მეშვიდე შვილი ვაჟი გაჩნდა, ერთი წლის შემდეგ, კიდევ ერთი ბავშვი შეეძინათ.

ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ მრავალშვილიანი ოჯახით მხოლოდ 10 წლის შედეგ დაინტერესდა. მერვე შვილისთვის, მათ 1.66 მილიონი იუანი (254 ათასი დოლარი) უნდა გადაიხადონ. მთლიანობაში, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ბავშვისთვის, ოჯახს 407 ათასი დოლარის ჯარიმა ელის. წყვილი აცხადებს, რომ ამხელა თანხას ვერ გადაიხდის. ადგილობრივი ხელისუფლება წყვილს დაპირდა, რომ მათ ჯარიმის გადახედავს.

ოჯახის ისტორია ცხარე განხილვის საგანი გახდა ინტერნეტშიც. ქვეყანაში შობადობის შესამცირებლად, პოლიტიკა — „ერთი ოჯახი, ერთი ბავშვი“, ჩინეთში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოქმედებს. ის 2015 წელს გააუქმეს და ახლა, ორი შვილის ყოლა ნებადართულია. ყოველ მომდევნო ბავშვზე კი ოჯახს ჯარიმა ელის, რომლის ზომაც საშუალო შემოსავალს თითქმის ათჯერ აღემატება.

დეპუტატი ჰალსტუხის გამო გარიცხეს

ახალი ზელანდიის პარლამენტში, დეპუტატ მამაკაცებს განხილვების დარბაზში კითხვების დასმა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუკი ჰალსტუხი უკეთიათ. მისი არქონის გამო, მაორის ტომის წარმომადგენელი პარლამენტიდან გარიცხეს. სპიკერმა მას რამდენჯერმე შეუშალა ხელი შეკითხვების დასმისას, ბოლოს კი დარბაზიდან გააძევეს. გამოგდებული დეპუტატი ჰალსტუხს „კოლონიალურ ყულფს“ უწოდებდა და მის ნაცვლად, მწვანე ფერის ქვის კულონს ატარებდა. პარლამენტში თავისი პირველი გამოსვლისას, მაორიმ განაცხადა: „მომხსენით ეს ყულფი კისრიდან, რომ ჩემი სიმღერა ვიმღერო“. ქვეყნის პრემიერი აცხადებს, რომ წინააღმდეგი არაა, თუკი ამ წესს გააუქმებენ, თუმცა პარლამენტის უმრავლესობამ არ მოისურვა უჰალსტუხო განხილვები.

საიდუმლო მასალები

„ბებრების ბანდის“ კრიმინალური ანატომია

მე-16 გვერდიდან

რა ბედი ეწია Hatton Garden-ის საცავს

ამ ინციდენტის შემდეგ, დეპოზიტარის მომხმარებლებს ბევრი კითხვა ჰქონდათ. რამდენად დასაშვები იყო ასობით მილიონი ფუნტის ღირებულების ძვირფასეულობის უყურადღებოდ დატოვება, სიგნალიზაციასა და კარის საკეტზე დაყრდნობით? რატომ იყო ასე იოლი სიგნალიზაციის გამორთვა? ძარცვის შემდეგ, კიდევ ორი დღის განმავლობაში, რატომ არავინ მივიდა დანაშაულის ადგილზე? მიანდობს ვინმე თავის ღირებულებებს ასეთ მეურვეებს? მენეჯმენტმა ყველა ამ კითხვაზე ერთი მკაფიო პასუხი გასცა: 2015 წლის სექტემბერში, კომპანია სამუდამოდ დაიხურა.ყველა მოპარული ძვირფასი ნივთი დაზღვეული არ იყო ქურდობისგან: ბევრი მეანაბრე თვლიდა, რომ ფულის შენახვა დეპოზიტარში, ყველაზე საიმედო გარანტია.

ვინ აღმოჩნდა ბასილი

უკანასკნელი კრიმინალი, რომელიც პოლიციას ყველაზე დიდხანს ემალებოდა, იყო მაიკლ სიდი. ძარცვის დროს, ის 49 წლის გახლდათ. კემბრიჯის ფიზიკის პროფესორის შვილი, თავად სწავლობდა ფიზიკასა და ელექტრონიკას ნოტინჰემის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში, დაინტერესდა სინთეზური ნარკოტიკებით და მათი გავრცელების გამო, ჯერ კიდევ 1984 წელს იყო ნასამართლევი. მომდევნო წლებში, ის მუშაობდა სიგნალიზაციის სპეციალისტად, ასევე, არემონტებდა ტელევიზორებს, ვიდეოკამერებსა და კომპიუტერებს.

ჯგუფის წევრების უმეტესობისგან განსხვავებით, რომლებიც ძარცვიდან თვენახევარში დაიჭირეს, მან სამი წლის განმავლობაში მოახერხა პოლიციისგან დამალვა. მისი ძებნა ძალიან რთული იყო: არ იხდიდა გადასახადებს, არ სთხოვდა სახელმწიფოს შეღავათებს და, პრაქტიკულად, არ იყენებდა საბანკო ანგარიშს, ყველგან ფულს იხდიდა და მობილური ტელეფონიც არ ჰქონდა. მისი ხანდაზმული თანამოაზრეებისგან განსხვავებით, ის ციფრული უსაფრთხოების მცოდნე იყო, მაგრამ საბოლოოდ, ვერც ამან უშველა: ისიც დააპატიმრეს და 2018 წელს, სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რა ბედი ეწიათ მძარცველებს

ბრიტანული კანონების თანახმად, პატიმრები, როგორც წესი, იხდიან მისჯილი სასჯელის მხოლოდ ნახევარს, თუმცა სასამართლო მათ გათავისუფლებას ასე იოლად არ აპირებდა და 2018 წელს, ბანდის ოთხი ლიდერის წინააღმდეგ მიიღეს ახალი გადაწყვეტილება: თუ ისინი არ დააბრუნებდნენ ნაძარცვის დარჩენილ ნაწილს (6 მილიონ გირვანქაზე მეტს), პატიმრობას შვიდი წლით გაუხანგრძლივებდნენ. მიუხედავად ამისა, არცერთმა მათგანმა ნაძარცვი სასამართლოს არ გადასცა, თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა ბანდის მეთაურს, 79 წლის ბრაიან რიდერს, იმავე 2018 წელს გათავისუფლებულიყო. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სასამართლომ ის კვლავ არ გაგზავნა ციხეში: მას უკვე ჰქონდა დემენცია, უფრო მეტიც, ჰქონდა პროსტატის კიბო და ინსულტის რამდენიმე შეტევა.

ბანდის თითქმის ყველა წევრი გაათავისუფლეს და ყურადღებით აკვირდებიან მათ თითოეულ ნაბიჯს, რათა არ გაუშვან მომენტი, როდესაც ბანდიტები საგანძურს მიაკითხავენ.

ჯონ კოლინზი ისევ ციხეში მოხვდა. თავდაპირველად, მან სამწელიწადნახევარი მოიხადა და გაათავისუფლეს. თუმცა 2019 წელს, სასამართლომ იგი ისევ დააპატიმრა, ხოლო ნაძარცვის არდაბრუნების გამო, შვიდი წელი მიუსაჯა.

დენი ჯონსი კვლავ გისოსებს მიღმაა, რადგან 2018 წელს, მას მიუსაჯეს ახალი სასჯელი – სამი წელი საიუველირო მაღაზიის ძარცვისთვის.

ტერი პერკინსი, 2018 წლის თებერვალში, 69 წლის ასაკში, ლონდონის ბელმარშის ციხეში გარდაიცვალა. ამბობდნენ, რომ სიკვდილის წინა დღეს, თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ როდესაც ექთანი მისი მდგომარეობის შესამოწმებლად მივიდა, არ შეუშვა, რადგან ტელევიზორში რაგბის მატჩს უყურებდა.

იტალიელებს კორონავირუსით დაავადება აუკრძალეს

კუნძულ სარდინიაზე მდებარე ქალაქ ონიფერის ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივებს კორონავირუსით დაავადება ეკრძალებათ. როგორც მერი, სტეფანია პირასი ამბობს, აქაურებს კატეგორიულად ეკრძალებათ ავადმყოფობა, მკურნალობის მოთხოვნა და წამლები, ასევე, ვირუსით დაინფიცირება. ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ქალაქი, ფაქტობრივად, ექიმის გარეშე დარჩა, ახალი სპეციალისტის მოძიებას, ჯერჯერობით, ვერ ახერხებენ. საერთო პრაქტიკის მქონე ექიმი აქტუალური პრობლემაა არა მხოლოდ ამ ქალაქისთვის, არამედ, კუნძულის ბევრი კომუნისთვისაც. ონიფერის შეწუხებული მერი აცხადებს, რომ აპირებს, შეუერთდეს სახალხო აქციებს, რომლითაც ქვეყანაში, ჯანდაცვის სფეროში არსებულ სიტუაციას აპროტესტებენ.

ლოცვებზე ქუჩვოებს იღებენ

უკრაინაში, როვნოს ოლქში მდებარე მამათა მონასტერში ახალი სერვისი გაჩნდა — აქ ლოცვას ონლაინ ატარებენ. ამის გაკეთება შესაძლებელია ოოგლე-ის სპეციალური ფორმის შევსებით, რომელიც ტაძრის საიტზეა განთავსებული. ლოცვები უფასოა, თუმცა მსურველს შეუძლია, მონასტერს სასურველი თანხა შესწიროს. წმინდა აღდგომის მონასტრის წინამძღვრის თქმით, ეს იდეა პანდემიის დასაწყისში გაჩნდა — ლოცვებზე განაცხადის შევსება ძალიან მოხერხებულია მათთვის, ვისაც იქ მისვლა არ შეუძლია. ჯანმრთელობის ონლაინ-ლოცვები საკმაოდ პოპულარულია და მონასტერს განაცხადით, უკვე ათი ათასობით ადამიანმა მიმართა.

ყავა გულისთვის სასარგებლოა

დღეში ერთი ან მეტი ფინჯანი შავი ყავა გულის უკმარისობის რისკს ამცირებს, — განაცხადეს ამერიკელმა მკვლევარებმა. აშშ-ს გულის ასოციაცია ამ დასკვნამდე სამი მასშტაბური კვლევის შედეგების შეჯამების შემდეგ მივიდა. კვლევებში, დაახლოებით, 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ერთ-ერთი კვლევა კი 72 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ყავის მსმელებს შორის, გულის უკმარისობის რისკი 5-დან 12%-მდე ნაკლებია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ყავას არ მიირთმევენ. თუ ადამიანი დღეში 2 ფინჯან მატონიზირებელ სასმელს მიირთმევს, ეს მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგი მხოლოდ შავი, უშაქრო ყავის მოხმარების შემდეგ მიღწევა. გულის უკმარისობის რისკს არც უკოფეინო ყავა ამცირებს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მიღებული შედეგები მათთვის გასაკვირი აღმოჩნდა.

ტურისტებს ფულს გადაუხდიან

კორონავირუსის პანდემიამ ტურისტულ ბიზნესს მთელ მსოფლიოში სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ჩაკეტილმა მსოფლიომ განსაკუთრებით პატარა ქალაქები დააზარალა, რომლებიც თავს სწორედ ამ ბიზნესით ირჩენდნენ. მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა კალიფორნიის პატარა ქალაქი სანტა-მარიაც. აქაურებმა, ტურიზმის კალაპოტში ჩასაყენებლად, საინტერესო ხერხს მიმართეს — მათთან ვიზიტისა და დარჩენის სანაცვლოდ, ტურისტებს 100 დოლარს სთავაზობენ. შესაძლოა, ეს დიდი თანხა არაა, მაგრამ რესტორანში ან კაფეში, სიამოვნებით დახარჯავენ. გარდა ამისა, სანტა-მარიაში ჩასული მოგზაურები ბევრი ფასდაკლებითა და შეღავათითაც ისარგებლებენ.

მდგრადი ბაქტერიებში ამოწყვეტით ეკვმყრეტენ

როგორც „ბი-ბი-სი“ იუწყება, 2050 წლისთვის, ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ბაქტერიები, წელიწადში 10 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდება. სპეციალური კვლევის ავტორების განცხადებით, ეს რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სიმსივნით გარდაცვლილებისა და კოლეგებს მოუწოდებენ, სასწრაფოდ დაიწყონ მუშაობა ახალი ტიპის ანტიბიოტიკებზე. მეტიც, ექიმებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სუპერბაქტერიების შესახებ. მკვლევარები სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართავენ და მოუწოდებენ, არ დაუშვან დღეს უკვე არსებული ანტიბიოტიკების დაუსაბუთებელი გამოყენება, ყველა ახალი ანტიბიოტიკის შექმნაში კი კომპანიებს ერთი მილიარდი დოლარი გადაუხადონ.

ლატაჯმა მეთევზემ იშვიათი მარგალიტი იპოვა

37 წლის ტაილანდელმა მეთევზემ უჩვეულო, ფორთოხლისფერი მარგალიტი შემთხვევით აღმოაჩინა. ოკეანის სანაპიროზე, მოქცევის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ის მოლუსკებს აგროვებდა. ნაპოვნ ძვირფას ქვას მელოს მარგალიტს ეძახიან, რადგან მას ზღვის ლოკოკინა — მელო-მელო ბადებს და სადაფისგან არ შედგება. მისი გავრცელების არეალია ვიეტნამი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წყლები. მელო-მელო 10 მეტრის სიღრმეზე ცხოვრობს და საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ნაპოვნი მარგალიტი არა მხოლოდ ფერით, არამედ, ფორმითაც საკმაოდ იშვიათია — ის თითქმის იდეალურად მრგვალია. მარგალიტის სავარაუდო ფასი, არანაკლებ, 300 ათასი დოლარია.

ევროპის უხუცესმა ქალმა კორონავირუსი დაამარცხა

ფრანგი მონაზონი, რომელიც ევროპის უხუცესი ადამიანია, კოვიდს რამდენიმე დღეში გაუმკლავდა და 117-ე დაბადების დღეს გამოჯანმრთელებული შეხვდა. ლუსილ რენდონს, რომელიც 1944 წელს აღიკვეცა და და ანდრეა გახდა, სიმტომების არქონის მიუხედავად, კორონავირუსი დაუდასტურდა. მკურნალობის პერიოდში, მონაზონის იზოლირება გახდა საჭირო. და ანდრეა, რომელიც ტულონის მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს, უსინათლოა და ეტლით გადადგილდება. ექიმები ამბობენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პაციენტს შიშის გრძნობა არ ჰქონია, ის უფრო მეზობლებზე ღელავდა. „ბედნიერი ვარ აქ ყოფნით, მაგრამ არც იმის წინააღმდეგი ვარ, სხვა სამყაროში გადავინაცვლო, ჩემი ოჯახის წევრებთან“, — ამბობს მონაზონი.

შუბლზე ბრილიანტი „მიიკერა“

ამერიკელმა რეპერმა, საიმირ ვუდსმა, რომელიც Lil Uzi Vert-ის სახელითაა ცნობილი, შუბლზე ბრილიანტი ჩაიდგა, რომლის წონაც 10 კარატია და 24 მილიონი დოლარი ღირს. ესაა ორგრამიანი, იშვიათი, ვარდისფერი ბრილიანტი. 26 წლის მუსიკოსის თქმით, ეს ძვირფასი ქვა უფრო მეტი ღირს, ვიდრე მისი სახლი და მანქანები, ერთად აღებული. „სილამაზე — ეს ტკივილია“, — ასეთი კომენტარი გააკეთა რეპერმა ოპერაციის შემდეგ. ვუდსის თქმით, ბრილიანტი მან 2017 წელს ნახა და მაშინვე გადაწყვიტა, რომ აუცილებლად იყიდდა. საჭირო თანხის მოგროვებას ოთხი წელი დასჭირდა. იმპლანტაციის ოპერაცია იუველირმა ელიოტ ელიანტემ გააკეთა, რომელსაც უამრავ ცნობილ ადამიანთან უმუშავია.

ყველაზე მაღალი ატრაქციონი გახსნეს

დუბაიში, პოპულარულ გასართობ პარკში — Bollywood Parks Dubai, რეკორდულად მაღალი, 140-მეტრიანი კარუსელი — Bollywood Skyflyer დაამონტაჟეს. ამგვარად, პარკმა, რომელიც ბოლივუდის სამყაროს ეძღვნება, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ის უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკული Orlando Starflyer, რომლის სიმაღლეც 137 მეტრია და რომელიც პირველობას 2012 წლიდან ინარჩუნებდა.

ახალი ატრაქციონის დასადგმელად, 421 ტონა მეტალი დასჭირდათ. ის 600 დღის განმავლობაში დაამზადეს, აწყობას კი 120 დღე დასჭირდა. „ბოლივუდის პარკმა“, რომელიც ინდური კინოს სტილშია გაფორმებული, რამდენიმეთვიანი კარანტინის შემდეგ, კვლავ გაუღო კარი სტუმრებს.

ალუმინი ტვინს ემუქრება

ალუმინს, რომელიც შედის საკვების, წამლებისა და კოსმეტიკის შემადგენლობაში, ალცჰაიმერის დაავადების პროვოცირება შეუძლია — ასეთ განცხადებას კილის უნივერსიტეტის სწავლულები აკეთებენ. აღსანიშნავია, რომ ეს მეტალი ძალიან ბევრ გადამუშავებულ პროდუქტშია, მათ შორის, ჩაიში, ღვინოში, ასპირინში, გაზიან სასმელებში. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ადამიანის ტვინში, ალუმინის ნადები იყო. გარდა ამისა, ალუმინს შეიცავს ნიადაგი და წყალიც, ის მცენარეებშიც გადადის. ბოლო დროს, ამ მეტალს აქტიურად გამოიყენებენ მრეწველობაში, შედის კბილის პასტების, ტალკის, ასპირინის, მზისგან დამცავი კრემების, ვაქცინებისა და ანტაციდების შემადგენლობაში. ალუმინი ილექება ტვინში, ძვლებში, ღვიძლში, კუნთებში, გულში. თუ ადამიანს უკვე ტვინთან დაკავშირებული დაავადება აწუხებს, ალუმინი მას უფრო გააღრმავებს.

ვაგონ-ოფისები დისტანციური მუშაობისთვის

იაპონურმა კომპანიამ East Japan Railway, თვის დასაწყისიდან, მაღალსიჩქარიან მატარებლებზე, ოფისებად გადაკეთებული ვაგონების ტესტირება დაიწყო. ჯერჯერობით, ის რამდენიმე რესიზე მუშაობს. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ მატარებლის მგზავრებს შეეძლებათ, თავისუფლად და დამატებითი გადასახადის გარეშე, გადავიდნენ ასეთ მოძრავ ოფისებში და იქ იმუშაონ. შეეძლებათ, გამოიყენონ ტელეფონი საუბრებისთვის, რაც მატარებლის სხვა ნაწილში რეკომენდებული არაა, ასევე, გამართონ ონლაინ-შეხვედრები. ტესტირებისას კომპანია არკვევს, რამდენად მოთხოვნადი იქნება სპეციალური ვაგონები და კიდევ რა აუცილებელი მოწყობილობები დასჭირდებათ მომუშავე მგზავრებს. ტესტირება თვის ბოლომდე გაგრძელდება.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.